# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2010 წელი.

№101 (6467)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ოპოზიციამ, რომელმაც თავის დროზე რუსთაველი საკნებით გადაკეტა, დღეს უუნარობა გამოიჩინა“




5




## „მშვიდობით, იარაღო!“ 3

## ოპოზიცია პარლამენტის ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება 2



## 2 „თუ კარგი სახელმწიფო გვაქვს, ციხეც აუცილებელია“



## მაგიური 9 ციფრი

წარმატების საიდუმლო

## საბავშვო ბაღს აღმზრდელობითი კი არა, გალიის ფუნქცია აქვს 2

სოსო ცისკარიშვილი:

## არჩევნების პროგნოზირება სამართლიანობას არ ნიშნავს 3



## რა აფორთხობს ანმეღორეს? 7





## ქართული დროშა 6 და „სამაია“ WALL STREET-ზე

◉ რაც მოგივა დავითაო...

# ოპოზიცია პარლამენტის ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება



**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბრიდან დაიწყეს. თუმცა „ნაციონალურ მოძრაობას" დიდი მომზადება არც დასჭირვებია, მორალურად და ფსიქოლოგიურად ისედაც საარჩევნო განწყობა ჰქონდათ, აი ოპოზიციას კი ასე დალხენილად არ ჰქონდა საქმე. არც ახლა აქვს, მაგრამ არჩევნების შედეგს, როგორც ჩანს, მათში განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა არ გამოუწვევია. ყველა შემთხვევაში მათი კომენტარებიდან და განცხადებებიდან დიდი გულისდაწყვეტა არ შეინიშნება.**

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე ყველა თანხმდებოდა, რომ საჭირო იყო ოპოზიციას ერთიანი ძალებით შეეტია ხელისუფლებისთვის, მხოლოდ ასე შეძლებდნენ გამარჯვებას. დიდი გადაჯგუფებების, გაერთიანების მცდელობისა თუ ერთმანეთის სასარგებლოდ კანდიდატურების მოხსნის მიუხედავად, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდა. საბოლოოდ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც მიიღო ის, რაც მიიღო.

შეიძლება ოპოზიციური ფლანგის ე. წ. ლიდერები არჩევნებში მიღწეულ არასახარბიელო შედეგებში თავიანთ „ღვაწლსაც" ხედავენ, ხვდებიან, რომ პირად ამბიციებზე მაღლა ცოტა ხნით მაინც საერთო ინტერესები უნდა დაეყენებინათ და ამიტომაც შემოიფარგლებიან მოკრძალებული კომენტარებით, ამიტომაც აკეთებენ აქცენტს მომავალ (მათი ვარაუდით ვადამდელ) პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებზე, თუმცა თუ ასე გააგრძელეს და შეცდომებმა თუ ცოდვებმა ჭკუა არ ასწავლათ, არა მგონია, ან მაშინ გამოუვიდეთ რამე.

რაც მთავარია, საზოგადოება, ამომრჩევლები გაოცებას ვერ მალავენ, არ სჯერათ, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურის დონემ იმ ნიშნულს მიაღწია, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული კონკურენტები ერთმანეთს გამარჯვებას გულწრფელად ულოცავენ. სამაგიეროდ, ვისაც სჯერა, ისინი უკვე საკრებულოში დასაკავებელ ადგილებს გულმოდგინედ ითვლიან. „ალიანსი საქართველოსთვის" წევრის, რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის პროგნოზით, თბილისის საკრებულო პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი გახდება. ის თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის ნაჩვენები შედეგითაც კმაყოფილია, განსაკუთრებით 2002 წელთან შედარებით, როცა ნაციონალებმა და რესპუბლიკელებმა ერთად დღევანდელზე გაცილებით ნაკლები ხმა აიღეს. სავარაუდოდ, ალიანსს საკრებულოში 5 დეპუტატი ეყოლება და ფრაქციის შექმნასაც შეძლებს. საერთოდ, კი დედაქალაქის საკრებულოში პროპორციული სიით „ნაციონალურ მოძრაობას" 14 წარმომადგენელი ეყოლება, მთლიან ოპოზიციას კი — 11.

ბედს არ ეგუება ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, „ალიანსი საქართველოსთვის" წევრი დავით საგანელიძე, რომელიც მარცხს არ აღიარებს და აცხადებს, რომ ვაკე მოიგო, თუმცა წააგო წყნეთსა და დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში, სადაც არაერთი დარღვევა აღინუსხა, რომლებთან დაკავშირებით საჩივრები უკვე დაწერილია.

„ეროვნული ფორუმი" არჩევნებში არ მონაწილეობდა, მაგრამ შეფასებები მათაც გააკეთეს. ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგი ლოგიკურია, რადგან ოპოზიცია ხელისუფლების შესაცვლელად არ იბრძოდა. „ეროვნული ფორუმი" ოპოზიციას საკუთარ ინიციატივას სთავაზობს და თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

— ჩვენ ყველას, ოპოზიციას, გვმართებს ერთიანი ტაქტიკის შემუშავება ერთობლივი ძალებით, რათა მივაღწიოთ ამ ხელისუფლების შეცვლას, — დასძინა მან.

ყველაზე მოსალოდნელი მოულოდნელობა არჩევნების შემდეგ სოზარ სუბარის გადაწყვეტილება იყო, რომელმაც ალიანსის რიგები ოფიციალურად დატოვა. როდესაც არის გამარჯვების შანსი, დამარცხებისთვის არ უნდა იბრძოლო, — ასეთია მისი პოზიცია და კომენტარი ირაკლი ალასანიას განცხადებაზე, რომელმაც სოზარ სუბარის ნაბიჯი უკანდახევად შეაფასა.

— მე გამარჯვების რეალური ფორმულა დავდე, თუმცა არც ერთი მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. უნდა მომხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კანდიდატის ირგვლივ შეთანხმება. ასეთი ლიდერი იყო ირაკლი ალასანია. ასევე უნდა მომხდარიყო თბილისში მაჟორიტარულ ოლქებზე და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატებზე შეთანხმება. აი, აქ რომ დავმარცხებულიყავით, იქნებოდა ბრძოლაში დამარცხება. დღეს კი არჩევნები წავაგეთ ჩვენი არასწორი ნაბიჯების გამო.

ამაზე იტყვიან, თვითკრიტიკა მეტად სამართლიანიაო, მაგრამ როდის მიეცემა ოპოზიციას შეცდომის გამოსწორების შანსი და ექნება თუ არა ამის შესაძლებლობა, ამას ძალიან მალე, ვადამდელ თუ არა კონსტიტუციურად გათვალისწინებულ არჩევნებში ვიხილავთ.

**ანა წიწილაშვილი**



◉ ინფორმაცია თემაში

## კენჭისყრის შედეგები უკვე დათვლილია

**თბილისის მერის არჩევნების კენჭისყრის შედეგები უკვე დათვლილია, რომლის მიხედვითაც მმართველი გუნდის მერობის კანდიდატი გიგი უგულავა 55.23%-ით ლიდერობს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 774 საარჩევნო უბნიდან მონაცემები უკვე სრულად შევიდა.**

**ცესკოს თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით, ლიდერობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი გიგი უგულავა — 55.23%, „ალიანსი საქართველოსთვის" კანდიდატი ირაკლი ალასანია — 19.05%, „ქრისტიან დემოკრატების კანდიდატი გია ჭანტურია — 10.7%, „ეროვნული საბჭოს" კანდიდატი ზვიად ძიძიგური — 8.31%, „თოფაძე-მრეწველების" კანდიდატი გოგო თოფაძე — 5.19%, პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობის" კანდიდატი თამაზ ვაშაძე — 0.65%, „სახალხო დემოკრატების" კანდიდატი ნიკა ივანიშვილი — 0.51%, „თორთლაძე-დემოკრატიული პარტიის" კანდიდატი დავით იაკობიძე — 0.22% და „მომავალის საქართველოსთვის" კანდიდატი გიორგი ლაღიძე — 0.14 %.**

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის კენჭისყრის წინასწარი შედეგებით თბილისის საკრებულოში პროპორციული სისტემით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 14 მანდატით შევა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ბავშვის უფლებაა — მოუსმინონ!

# საბავშვო ბაღს აღმზრდელობითი კი არა, გალიის ფუნქცია აქვს

**მაშინ, როცა ბევრი თბილისელი პატარა სხვადასხვა გასართობ ადგილში ცეკვა-თამაშით აღნიშნავდა ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს, პარლამენტის შენობის წინ მცხუნვარე მზის ქვეშ ხის გალიაში რამდენიმე ბავშვი იჯდა და თეატრალიზებულ საპროტესტო აქციას მართავდა. ამ შემთხვევაში მაინც და მაინც პატარები როდი აქტიურობდნენ, არამედ მშობლები და პედაგოგები. აქციის ორგანიზატორი პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი იყო. მანანა ღურჭუმელიძემ საპროტესტო წარწერებიანი თეთრი მაისური გადაიცვა და მშობლებმა და ბავშვებმაც ასეთივე მაისურებით გააპროტესტეს საბავშვო ბაღების მუშაობის სტილი.**

„დღესდღეობით ბაღს აღმზრდელობითი კი არა, გალიის ფუნქცია აქვს მინიჭებული. ამ აქციით კი გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ბაღი არის საგანმანათლებლო დაწესებულება და არა „დროებითი შენახვის საკანი", — აღნიშნა მანანა ღურჭუმელიძემ, — ბოლო წლებში ხელისუფლებამ 200-მდე საბავშვო ბაღი დახურა, თუმცა იზრდება თავად აღსაზრდელების რაოდენობა. ამიტომ საბავშვო ბაღებში 35-45 ბავშვია თითო ჯგუფში. აღმზრდელსა და ძიძას ფიზიკურად არა აქვთ საშუალება, სათანადო ყურადღება მიაქციონ თითოეულ ბავშვს, რის გამოც ირღვევა ბავშვის ფუნდამენტური უფლება — განათლების უფლება. ხოლო აღმზრდელებს მიზერული საზღაურის ფასად უდიდესი სტრესის ქვეშ უხდებათ მუშაობა. მით უმეტეს, რომ აღმზრდელებს არა აქვთ პედაგოგის სტატუსი", — აღნიშნა პროფკავშირის თავმჯდომარემ.

**მართლაც, გაეროს კონვენციის მიხედვით, ბავშვებს ბევრი არსებითი უფლება აქვთ: სიცოცხლის უფლება, მათ მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული არაადამიანური მოპყრობა, არ შეიძლება დასჯა, იძულებითი შრომა და მონობა, ბავშვებს აქვთ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საფრთხისაგან დაცვის უფლება.** საქართველო მიერთებულია ამ კონვენციას, ამიტომაც ბავშვთა დაცვის დღე — არ გამორჩენია სახალხო დამცველს, რომელმაც „ქორთიარდ მერიოტში" კონფერენცია გამართა: „ბავშვის უფლებაა — მოუსმინონ!"

„კონვენციის მიზანია, გაიზარდოს ბავშვთა ჩართულობა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებასა და განათლებას ეხება. უნდა მოხდეს სახელმწიფო უწყებების მიერ ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათი მოსაზრებების გათვალისწინება ბავშვთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში", — აღნიშნა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა. მის ამ გამოსვლას ყურს უგდებდნენ განათლების და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი, პარლამენტის კომიტეტების ხელმძღვანელები: გია არსენიშვილი და ოთარ თოიძე, საჯარო სკოლის დირექტორები. მათ, ბუნებრივია, გაიზიარეს ომბუდსმენის მოსაზრებები და დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ ბავშვთა უფლებები კიდევ უკეთესად უნდა იყოს დაცული, ვიდრე დღეს არის, თუმცა სასტუმროს გრილ საკონფერენციო დარბაზში არავის დაუძრავს კრინტი იმ ბავშვებზე, რომლებიც ამ დროს საცოდავად იხრუკებოდნენ ხის გალიაში მსხდარნი 1 ივნისის მწველი მზის ქვეშ... პარლამენტის წინ.



**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## „თუ კარგი სახელმწიფო გვაქვს, ციხეც აუცილებელია"

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავის პირველი საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება გახსნა. ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამსართულიანი შენობა აშენდა.**

— როცა აქ ადრე შემოვდიოდი, იდგა კატასტროფული კანალიზაციის სუნი, მაშინ ყველას ერთ ბარაკში ეძინა. ქურდები მართავდნენ ყველაფერს. საჭმელი არ იყო. ყველაფერი შემოდიოდა გარედან და აქედან იმართებოდა ქურდული სამყარო საქართველოში. აქედან ხდებოდა ე.წ. „ვაზვრატები" მოპარულ მანქანებზე, აქედან ხდებოდა რეკეტი. ერთი სიტყვით, ეს იყო ანტისანიტარიის, გაუკითხაობის და უკანონობის კერა საქართველოში. მე სულ არ მიხარია საქართველოში ციხეების აშენება და ბევრად უფრო დიდი სიხარულით ფულს დავხარჯავდი სკოლებზე, საავადმყოფოებზე, შადრევნებზე, მაგრამ თუ კარგი სახელმწიფოა, იქ ციხეები აუცილებელია. ჩვენი ბავშვები და საზოგადოება კარგად უნდა იყოს დაცული. მთავარი, რასაც მივაღწიეთ, არის ის, რომ აქ არის ისეთივე კვება, როგორიც არის შეიარაღებულ ძალებში. ადრე კი პატიმრებს გარედან ინახავდნენ, — განაცხადა სააკაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## რა იქნება ხვალ?

# „არჩევნების პროგნოზირება სამართლიანობას არ ნიშნავს“



***30 მაისს ჩატარებული არჩევნების შედეგებზე, ხელისუფლების გამარჯვებისა და ოპოზიციის დამარცხების მიზეზებზე, ასევე, არჩევნების შემდეგ ორივე ფლანგზე პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.***

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით არჩევნების შედეგებს? ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ შედეგები პროგნოზირებადი იყო, საერთაშორისო დამკვირვებლებიც 30 მაისს ჩატარებულ არჩევნებს დადებითად აფასებენ...**

— ქართველი ექსპერტების უმრავლესობა კარგად იცნობს ქვეყანაში არსებულ რეალობას, ამდენად პროგნოზირებადად მიაჩნია თუნდაც არაბუნებრივი შედეგი, რომელიც გამოცხადებულია. არჩევნების პროგნოზირებადობა სამართლიანობას არ ნიშნავს. პროგნოზირებადობა არ ნიშნავს რაიმე ტიპის წარმატებულობასა და წარუმატებლობას შორის განსხვავებას. ამიტომ, ის რომ პროგნოზირებადი იყო ქართველი ექსპერტებისთვის სიტუაცია, საინტერესოა რას ემყარებოდა ეს ცოდნა?

რასაკვირველია, 2008 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების, ასევე წინა ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებას. ხელისუფლება არ შეცვლილა, არ შეცვლილა არც სწრაფვა საკუთარი თავის ხილვისა ძალაუფლების უმაღლეს მწვერვალზე, არ შეცვლილა არც მზაობა იმისა, რომ წარმატება მიღწეული ყოფილიყო ნებისმიერი ხერხით. ამ შემთხვევაში პროგნოზირებადი იყო მომზადებული სცენარი, რომელიც სახელისუფლებო გუნდს სასურველ შედეგამდე მიიყვანდა. ამ სცენარში საკუთარი როლი ჰქონდა მინიჭებული ოპოზიციასაც, რომელმაც შეასრულა ეს როლი, ზოგმა ნებით, ზოგმა უნებლიეთ, ზოგმა თავის სურვილის წინააღმდეგ, ასე რომ, თუკი ვინმე იწინასწარმეტყველებდა „ნაცმოძრაობის“ წარმატებას, რაც დააფიქსირა უთავმოყვარეო ამერიკულმა კომპანიამ საკუთარ ეგზიტპოლებში. ამ კომპანიის უთავმოყვარეობა იმაში მდგომარეობს, რომ წესიერი კომპანია არ უნდა აფორმებდეს კონტრაქტს ისეთ კომპანიასთან, რომლის მეპატრონე საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი და რომლის პიროვნებაც, სახელმწიფოებრივი საიდუმლოს დონეზე გასაიდუმლოებულია. უთავმოყვარეო კომპანია „რუსთავი-2“-თან და „იმედთან“ კონტრაქტის გაფორმების დღიდან აღარ გახლავთ რაიმე ნდობის საგანი ჩვენი ამომრჩევლებისათვის.

**— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობდა ხელისუფლების გამარჯვების საიდუმლო და ოპოზიციის დამარცხების მიზეზები?**

— როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პროგნოზირებად შედეგზე, ეს პროგნოზი ემყარება ანალიზს იმ ქმედებებისა, რომელიც ხორციელდებოდა ხელისუფლების ან ოპოზიციის მხრიდან არჩევნების დღემდე რამდენიმე თვის განმავლობაში. მარტივად დასანახი იყო ის ფაქტი, რომ არანაირი შეცდომების გასწორების სურვილი ხელისუფლებას არ დაბადებია. არ შეიძლება შეცდომა ვუწოდოთ იმას, რასაც იგი სჩადიოდა არჩევნებზე. თუ არ გაზრდილა, არ შემცირებულა არც ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენება. შეიცვალა მხოლოდ ცენტრი გაყალბებისა, ეს ფუნქცია ცესკო-ს ნაცვლად სამოქალაქო რეესტრს დაევალა, რომელმაც წარმატებით დაარეგისტრირა მოქალაქეთა არნახული რაოდენობა ეკლესიებში, რესტორნებში, კინოთეატრებში, მაღაზიებში. როდესაც ამ ნამოქმედარის მცირე პროცენტი აღმოაჩინა ოპოზიციური პარტიების ნაწილმა, ყოველივე ამ უმსგავსობის თავად შემოქმედმა „უზუსტობა“ უწოდა. თუ ასეთი ქმედება „უზუსტობაა“ და არა დანაშაული, ძნელად წარმოსადგენია რატომ უნდა დავარქვათ დანაშაული სხვა ტიპის საქმიანობას. „უზუსტობა“ ყოფილა იმ პოლიციელების ქმედება, რომლებიც იძულებული გახდნენ საკუთარ საკურატორო ტერიტორიებზე, განსაკუთრებით სოფლებში, კარდაკარ ეარათ და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მოსახლეობიდან პირადობის მოწმობები აეგროვებინათ. ალბათ, პოლიციელებს უნდა გამოერთვათ ხელსახოცი პირადი მოხმარებისათვის და შემთხვევით ამომრჩევლების პირადობის მოწმობები გამოჰყვათ.

როდესაც არც ერთი ადამიანი არ არის დასჯილი იმ სიმახინჯისთვის, რაც ხდებოდა საარჩევნო სიებში, სამოქალაქო რეესტრის არც ერთი მოხელე არ გამხდარა იძულებული დაეტოვებინა საკუთარი სამსახური, როცა ასეულობით ადამიანს არეგისტრირებდა ბაპტისტური ეკლესიის პატარა შენობაში, მაშინ, ასეთ ვითარებაში რაზეა საუბარი? ამას ვუწოდოთ დემოკრატიის გამარჯვება? ამას ვუწოდოთ წინგადადგმული ნაბიჯი? რამ გაამხიარულა ბატონი სემნები ასე? იქნებ მისი კმაყოფილების საფუძველი სხვაგან უნდა ვეძებოთ? ევროპამ და საქართველოში მისმა წარმომადგენლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ქართველები არჩევნებზე ერთმანეთს არ ხოცავენ.

**— ოპოზიციის დამარცხების მიზეზებზე რას იტყოდით?**

— ოპოზიციის შეცდომებსა და სისუსტეებზე საუბარს ერთი ინტერვიუ ნამდვილად არ ეყოფა. წარმოჩენილია უნდობლობა ოპოზიციური ძალებისა ერთმანეთის მიმართ. როგორც კი ოპოზიციის ლიდერებმა ერთმანეთში კონკურენტი დაინახეს, საერთო მიზანი მეორე პლანზე გადავიდა. შესაბამისად, ისედაც მწირი რესურსის კონკურენტულ ბრძოლაში დახარჯვა, მაშინ როცა შესაძლებელი იყო ამ რესურსის გაერთიანება, ასევე ოპოზიციის შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა არა მგონია, რომ ერთიანი კანდიდატი უნდა გახდეს რაღაც იდეა ფიქსი ქართული ოპოზიციისათვის. რასაკვირველია, ერთიანი კანდიდატი სასურველია, შესაძლებელია, ეს წარმატებისთვის აუცილებელი და სასურველიც იყოს, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი პირობა არ არის. რა არის კიდევ აუცილებელი იმისთვის, რომ წარმატება შედგეს? ამაზე ალბათ, კიდევ არა ერთხელ ვისაუბრებთ იმისდა მიხედვით, პოლიტიკურ ძალთაგან ვის დარჩება სურვილი, რომ გააგრძელოს საქმიანობა ოპოზიციურ ველში და ვინ კი ჩათვლის, რომ დროა სხვა საქმე ექებოს.

**— გამოითქმის მოსაზრება, რომ თბილისის მერად პირდაპირი წესით არჩევის შემდეგ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა. რამდენად სავარაუდოა უგულავას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბება და სახელისუფლებო გუნდში დაპირისპირების მოლოდინი, რაზეც ხშირად საუბრობენ?**

— ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ ახალი კოსმეტიკური საშუალების შემოტანას ჰგავს სახელისუფლებო ფერუმარილთა კომპლექსში, სადაც ხდება არსებული რეალობის მუდმივად შელამაზება. რამდენადაც თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი არ უნდა იყოს კონკრეტულად გიგი უგულავა, ის არ გახლავთ ისეთი გუნდის წევრი, რომელიც მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს. ის წინასწარ არის გაფრთხილებული, თუ რა შეიძლება მოუვიდეს დამოუკიდებლად მოქმედების სურვილის გაჩენის შემთხვევაში. ჩვენს შემთხვევაში წარმოდგენილია გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია არა თანამოაზრეობის პრინციპით, არამედ თანამზრახველობის პრინციპით. ეს ის შემთხვევაა, როცა რომელიმე ამ გუნდის წევრის თავისუფლების ხარისხი, გამორიცხულია.

**— არჩევნების შედეგებზე როგორი იქნება რუსეთის დამოკიდებულება და რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ ოპოზიციის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთთან ასოცირდება და იმ ნაწილში, რომელიც მოსკოვთან ურთიერთობების დამყარებას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გეგმავს?**

— არა მგონია, რომ რუსეთი რაიმე ტიპის განსაკუთრებული განცხადებებით გამოეხმაუროს საქართველოში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს. ჩემთვის უფრო საინტერესო იყო რადიო „თავისუფლების“ რუსულ ეთერში მონაწილეობისას სოხუმისა და ცხინვალის მოსახლეობის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების მოსაზრებები ჩვენთან ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით. უნდა გითხრათ რომ, სოხუმიც და ცხინვალიც „ნაციონალური მოძრაობის“ შედეგით კმაყოფილია. სოხუმშიც და ცხინვალშიც საკუთარი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ძირითად გარანტად ქართულ პოლიტიკურ ცაზე „ნაცმოძრაობის“ ზეობა მიაჩნიათ.

ისინი თვლიან, რომ როგორც კი საქართველოში მოვა რაიმე ტიპის პრაგმატული პოლიტიკური ძალა, მაშინ დადგება საფრთხე ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგებისა, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებს მათ დამოუკიდებლობას. ეს აზრი მკაფიოდ გამოსჭვიოდა არა მხოლოდ ცხინვალელი და სოხუმელი ჟურნალისტების მომზადებულ სიუჟეტებში, არამედ მათ მიერ გამოკითხული მოქალაქეების გამოსვლებში. შესაბამისად, რუსეთი ამ თემითაც მოახერხებს მანიპულირებას.

რუსეთი რწმუნდება, რომ საქართველოსთან მისი ურთიერთობა უნდა იყოს ადეკვატური იმ რეალობისა, რაზეც მსოფლიო რუკა მიანიშნებს. რაზეც მიანიშნებს ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი პოტენციალი. იმედი მაქვს, რუსეთი აღარ ჩათვლის, რომ ცხინვალში და სოხუმში მათი სამხედრო ძლიერება იქნება რაიმე ტიპის გამარჯვება ვაშინგტონსა და ბრიუსელზე. რუსეთს უფრო აქტუალური პრობლემები უჩნდებათ, მიხედონ ჯერ კალინინგრადს და იქ დადგმულ ახალ ამერიკულ ტექნიკას. შესაბამისად, თავად ცხინვალიცა და სოხუმიც უფრო მალე მიხვდებიან, რომ არ წარმოადგენენ რუსეთის პოლიტიკაში გამონაკლისს და არაკანონზომიერებას. რუსეთმა დნესტრისპირეთი პრაქტიკულად უკვე ამოიღო იმ სიიდან, რომელსაც სამომავლოდ რაიმე ტიპის დამოუკიდებლობა ეკუთვნის.

საქართველოს მიმართ რუსეთს სიყვარული ნამდვილად არ გაუჩნდება, ძნელად დასაჯერებელია იმ ნიანგის ცრემლებისა, რომლითაც მოიხსენიებენ ხოლმე ქართველ ხალხს რუსეთის დღევანდელი ლიდერები, რადგან ნათქვამია — საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო. ამ კუთხით კი ვერაფერი სასიკეთო რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს საქართველოს მიმართ ვერ წარმოაჩენს.

**კობა ბენდელიანი**

## პოსტსაარჩევნო ფიქრები

# „მშვიდობით, იარაღო!“

**დიახ, სწორედაც რომ მშვიდობით, რადგანაც ამ ე.წ ქართულმა ოპოზიციამ, უკვე მერამდენედ ვერ გამოიყენა ხელისუფლების შეცვლის ყველაზე მისაღები, ყველაზე მშვიდობიანი და ყველაზე ცივილიზებული იარაღი — არჩევნები.**

ვერ გამოიყენა და სიმართლე რომ ვთქვა, ვერც გამოიყენებდა.

რატომ?

ერთხელ, ერთმა ჩემმა მეგობარმა, როცა დასაქმებაზე და უმუშევრობაზე ვსაუბრობდით, საკმაოდ საინტერესო ფრაზა თქვა: მე არ მაქვს პრეტენზია ვიყო პილოტი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თვითმფრინავის მართვა არ ვიციო.

ასეა, ჩემო ძვირფასო მკითხველო. არ იცის ამ „ჩვენმა“ ოპოზიციამ „თვითმფრინავის მართვა“. არ იცის და...

არადა რა უნდა ქნას? არ იცის და თქვენ წარმოიდგინეთ, სწავლაც არ უნდა.

„თვითმფრინავის მართვა“ შორს იყოს და, რა უნდა, ისიც არ იცის.

დამთავრდა 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

ქალაქებმა, რაიონულმა ცენტრებმა, სოფლებმა და თბილისმა აირჩიეს ის ხალხი, ვინც უნდა მართოს ბიუჯეტი. ვინც უნდა აშენოს, გაყიდოს, დაანგრიოს, მიიღოს საკმაოდ „მსუყე“ ანაზღაურება და არ შეასრულოს დაპირებები.

ისე გულზე ხელი რომ დავიდოთ, რომელი საარჩევნო „სუბიექტი“ იყო იმ დაპირებების შემსრულებელი, რომლებსაც ასე უხვად გვაფრქვევდნენ უფასო სატელევიზიო რეკლამის საშუალებით?

ძიძიგური, თუ თოფაძე? ვაშაძე, თუ ივანიშვილი?

კარგით რა!

ისე, თოფაძემ განაცხადა (თუ წამოცდა?ძ „მე და ეს ხალხი (თავისი პარტიის წევრებზე თქვაძ, ძალიან კარგად ვართო“.

წინასაარჩევნო პერიოდში არ დავწერე, რადგანაც შესაძლებელი იყო, ვინმეს „ანტირეკლამაში“ ჩაეთვალა. ამიტომ ახლა მინდა დავსვა ერთი ელემენტარული კითხვა: — რატომ არის დღეს ბატონი გოგი უფრო „უკეთესად“, ვიდრე „90-იანი წლების პერიოდის“ რომელიმე სკოლის დირექტორი?

პასუხი ძალიან მარტივია: ბატონმა გოგიმ, მოახდინა „თავისი“ ქარხნის პრივატიზაცია, ხოლო სკოლის დირექტორმა სკოლის „დათრევა“ ვერ შეძლო (თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდაძ. ჰოდა დღეს ეგენი „კარგად არიან“ და თავიანთი „ბიზნესი ნელ-ნელა საზღვარგარეთ გააქვთ“, ხოლო ის ყოფილი პედაგოგები კი, რომლებიც სიცივეში, უშუქობაში და ათას უბედურებაში გაკვეთილებს ატარებდნენ — ცუდად.

შევარდნაძე მართალი იყო, როცა ფრაზა „დაყაჩეო“ თქვა (ვისაც გახსოვთ ის სხდომა, ეგ ფრაზა სულ სხვა კონტექსტით იყო ნათქვამი და არა იმ ფორმით, როგორც სარეკლამო კლიპიდან ჩანდაძ.

ამ არჩევნებმა, იმის გარდა, რომ თბილისის მერი აირჩია და საერთოდ, ყველა რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „დააკომპლექტა“, ლუსტრაციაც მოახდინა.

დიახ, ლუსტრაცია, რადგანაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდმა და შემდეგ არჩევნების დღემ, ნათლად დაგვანახა, თუ Who is Who, ანუ „ვინ ვინ არის“ და ვის რა შეუძლია.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ „ალიანსის“ რეიტინგი საშინლად დასცეს „რესპუბლიკელებმა“. ქრისტიან-დემოკრატებს, სიის პირველი ნომრების იმიჯმა მიაყენა სერიოზული ზიანი, ხოლო „ეროვნული საბჭო“, არსებულმა სრულმა ანარქიამ, გაურკვეველმა პროგრამამ და მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შესაფერისმა სარეკლამო კამპანიამ „გაწირა“.

და რაც ყველაზე მთავარია: — ოპოზიციამ ვერ გაითვალისწინა 2008 წლის 21 მაისის არჩევნების გამოცდილება და ვერ შეძლო თავისი ამომრჩევლის არამც თუ საარჩევნო უბნებში მიყვანა, ვერ შეძლო მათთვის არჩევნებში მონაწილეობის სურვილის გაცოცხლება.

იხ. 4 გვ.

პოსტსაარჩევნო ფიქრები

(მესამე გვერდიდან)

# „მშვიდობით, იარაღო!“

ის „ბრალდება“, რომ საარჩევნო უბნებთან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იდგნენ და რომ ისინი საჯარო მოხელეები არიან, სრული აბსურდია.

ჯერ ერთი, ვინ დაუშალა ოპოზიციას მოეხდინა თავისი „პარტაქტივის“ მობილიზება და „სამშობლოს გადასარჩენად“ ბრძოლაში ჩართვა? (თუ ვინმე იტყვის, რომ ნაციონალები თავიანთ აქტივისტებს გარკვეულ თანხებს უხდიდნენო, ვეტყვი, რომ თუ „სამშობლოს გადარჩენაზეა“ საუბარი, მაშინ ნებისმიერმა „პარტიელმა“ უანგაროდ უნდა „გასწიროს“ ერთი კვირა დღე და საარჩევნო უბნებზე თავისი პოლიტიკური ძალის მომხრეები მიიყვანოს, მაგრამ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოპოზიციურ პარტიებს, წევრთა ძალიან მცირე რაოდენობა ჰყავთ (ეს ძალიან რბილად რომ ვთქვა)). ხოლო რაც შეეხება „საჯარო მოხელეებს“, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ იმ საარჩენო უბანზე, სადაც მე მივეცი ხმა, არც ერთი საჯარო მოხელე არ იყო.

მოკლედ რომ ვთქვა და არ გადაგღალოთ იმ ინფორმაციის მოწოდებით, რაც ისედაც კარგად იცით, ვიტყვი, რომ დღევანდელი „აქტიური“ ოპოზიცია, წინასწარ იყო შერიგებული ბედს და იმ პოლიტიკურ სტაგნაციას, რომელიც შეიქმნეს და რომლისგანაც გამოსვლა უკვე ძალიან ძნელია.

სწორედ ამიტომ აღარ იმეორებენ 2008 წლის დემარშს და ფრაზით: „ვიღაც ხომ უნდა გვყავდეს საკრებულოდან ამბის გამომტანიო“, შედიან პარლამენტზე გაცილებით უფრო ნაკლები უფლებებისა და ტრიბუნის მქონე საკრებულოში.

ისე, მაგარი რამეა თვითლუსტრაცია!

ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა, რადგანაც „ხვალიდან“, ანუ უფრო რომ დავაკონკრეტო, სავარაუდოდ სექტემბრიდან, ქართულ პოლიტიკაში ახალი ეტაპი დაიწყება. ის ოპოზიციური ძალები, რომლებმაც არ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, საკმაოდ გააქტიურდებიან, რადგანაც მათ უკვე აქვთ „სლოგანი“ — ჩვენ ხომ ვამბობდით! ისინი ამ სლოგანით შეძლებენ მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილთან მისვლას.

სამაგიეროდ, არ იქნება ისეთი რადიკალური „შეძახილები“, როგორებიცაა: „მიშა მოვდივარ“, ან „ეს რეჟიმი ხვალ დილით აღარ იქნება“ და ოპოზიციის ბრძოლა უფრო დახვეწილ, ანუ „ბრიფინგულ“ ხასიათს მიიღებს. „ბრიფინგულს“ იმიტომ, რომ არც ბურჯანაძე და არც ნოღაიდელი არ არიან ქუჩის აქციების დამწყებნი, ხოლო პარლამენტის წინ „გამონთავისუფლებულ“ ადგილს ლეიბორისტები (შეუსრულებელი სოციალური შეღავათების გამოძ და „ფორუმი“ დაიკავებენ.

შეიცვლებიან ე.წ. „ძველი ლიდერები“ და მათ ადგილს სავარაუდოდ ახალგაზრდები დაიკავებენ. ის ახალგაზრდები, რომელთათვისაც მიუღებელია „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგია, რადგანაც ამ არჩევნების შემდეგ დასავლური ფასეულობების მეხოტბე არასამთავრობო ორგანიზაციები კიდევ უფრო გააქტიურდებიან.

ხელისუფლება სავარაუდოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში „წაყრუების“ პოლიტიკას აირჩევს, ხოლო დაძაბულობის ესკალაციის მომენტში (რაც აუცილებლად მოჰყვება „ჰელოუნის ზეიმისა“, თუ „გეიპარადის“ მოსაწყობად მერიაში შეტანილ განცხადებებსძ, ხალხის მხარეს დადგება და ნელ-ნელა გაინთავისუფლებს თავს იმ წამგებიანი ბალასტისგან, რომლებსაც გიგი თევზაძე, ლევან რამიშვილი, თეა თუთბერიძე და მსგავსნი მათნი წარმოადგენენ (ხელისუფლების მიერ არაპოპულარული სახეების აქტიური პოლიტიკიდან ჩამოშორების პრეცედენტი უკვე არსებობს, გიგა ბოკერიას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ყოვლად „არაგამოსაჩენ“ თანამდებობაზე გადაყვანის სახითძ.

ძალიან საინტერესოა, თუ როგორ მოიქცევიან საკრებულოს წევრობის ის კანდიდატები, რომლებსაც ფაქტობრივად არავინ არ იცნობდა და რომლებიც „მეხის გავარდნასავით“ გამოჩნდნენ ქართული პოლიტიკის არც თუ ისე მოწმენდილ ცაზე.

საინტერესოა დარჩებიან თუ არა ისინი პოლიტიკაში და იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომელთა სახელითაც აპირებდნენ მოსახლეობის პრობლემების გადაჭრას. დარჩებიან, თუ ისე „გაქრებიან“, როგორც მრავალი დამარცხებული „პოლიტიკოსი“ გამქრალა?

კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლება. შეიძლება, რომ დეტალ-დეტალ განვიხილოთ როგორც წინასაარჩევნო პერიოდი, ასევე 30 მაისი.

შეიძლება დაიწეროს, ყველა ის ციფრი, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია გვაწვდის. მაგ: ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ის 57%, წინასწარი „კვლევების“ დროს რომ დაფიქსირდა, „ოდნავ შემცირდა“ და 54,65%-მდე „ჩამოვარდა“ (ანუ 223156 ამომრჩეველიძ. ან ის, რომ პარტია „მომავალი საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ ამომრჩეველთა გულების მხოლოდ 0,14%-ის მოგება შეძლო და რომ არჩევნებში 3 544 770 ამომრჩევლიდან, 1 808 556-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.



შეიძლება, მაგრამ არ ღირს, რადგანაც გადაცემა „ინტერვიუ მატჩის შემდეგ“, აღარ არსებობს და რადგანაც დღეს ფრაზა: „კარგად ითამაშეს, მაგრამ მაინც წავაგეთო“, სრულად აღწერს მთელს მატჩს.

ერთი კი ნამდვილად სათქმელია: ამ არჩევნებმა თუნდაც ის „გააკეთა“, რომ ნათლად გამოჩნდა არსებული რეალობა და გამოჩნდა ამ რეალობაში მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებისათვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმის საშუალება.

უგულავას მიერ მეროზის კანდიდატებისთვის თანამშრომლობის შეთავაზება და გია ჭანტურიას მიერ ამ თანამშრომლობაზე გამოთქმული მზადყოფნა, ამის კარგი მაგალითია.

დასასრულს კი ვიტყვი, რომ ფრედერიკ ჰენრი დაემშვიდობა იარაღს. დაემშვიდობა და ამით ბრწყინვალე რომანის იდეა მისცა ჰემინგუეის.

კარგი რომანი შეიძლება დაიწეროს საქართველოში მომხდარ მოვლენებზე.

**გია გაბრიჭიძე**

შეფასება

# ეუთოს და ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიები არჩევნებს წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებენ, თუმცა რიგ ხარვეზებზე მიუთითებენ

**ეუთო-სა და ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიები 30 მაისის არჩევნებს საერთაშორისო სტანდარტებისკენ კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებენ, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ რიგი არსებითი ხარვეზები კვლავ გამოსასწორებელია. როგორც საერთაშორისო მისიების მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, „საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნები გამჭვირვალედ, ყოვლისმომცველად და პროფესიონალურად იყო ორგანიზებული, თუმცა ზოგიერთ რაიონში არჩევნების დღეს სისტემური დარღვევები შეიმჩნეოდა“.**




„ნაკლოვანებებია სამართლებრივ სისტემაშიც და მის განხორციელებაში, ხოლო საარჩევნო კამპანიის ჩასატარებელი გარემო სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელთა სასარგებლოდ არათანაბარი იყო. ხელისუფლება ცდილობდა, პრაქტიკულად გადაეჭრა პრობლემები, მათ შორის გაეუმჯობესებინა ამომრჩეველთა სიების ხარისხი, თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესისადმი კვლავინდებურად დაბალია. მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა ჯერ კიდევ არსებულ დარღვევებს ბოლო მოეღოს, კონსოლიდირებულ იქნას მიღწეული შედეგები და მომავალი საყოველთაო არჩევნებისთვის საზოგადოების ნდობის ხარისხი ამაღლდეს“, — განაცხადა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ოდრი გლოვერმა. ამასთან, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის დელეგაციის ხელმძღვანელმა გიუნტერ კრუგმა განაცხადა, რომ „საკრებულოებს, მერებსა და, განსაკუთრებით თბილისის პირდაპირი გზით არჩეულ მერს, ქვეყანაში ჯერ კიდევ სერიოზულად მდგომი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოუწევთ“.

„ამის მისაღწევად მთავარია რეგიონალური სტაბილურობისკენ მიმართული პასუხისმგებლობიანი პოლიტიკის წარმოება. კონგრესი მზადაა, საქართველოს გვერდში დაუდგეს და დაეხმაროს ამ საკითხში, კონკრეტულად კი — ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდის საკითხში“, — აღნიშნა კრუგმა. კონგრესის დელეგაციის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, ევროკავშირის რეგიონების კომიტეტის წევრების სპიკერმა შარონ ტეილორმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ „ძლიერი დემოკრატიის მშენებლობა ადგილობრივი დონიდან უნდა დაიწყოს და ზედა დონისკენ უნდა მიიწევდეს, რის გამოც დელეგაცია განსაკუთრებით კმაყოფილია არჩევნებში ახალგაზრდების, ქალებისა და უმცირესობების მონაწილეობის მაღალი დონით“.

**„იმედი გვაქვს, ხარვეზების აღმოფხვრასთან და ნდობის ამაღლებასთან ერთად, ბევრი მათგანი პროცესის უბრალო მონაწილის სტატუსიდან კანდიდატის სტატუსამდე აინაცვლებს“,** — განაცხადა ტეილორმა.

სამეგრელოს მხარე

# ზუგდიდში არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 15-17 პროცენტი მივიდა

**30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ზუგდიდში ოთხი წლისწინანდელი, 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების იდენტური იყო. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ წინა არჩევნებთან შედარებით ოპოზიციამ „მნიშვნელოვან წარმატებას“ მიაღწია! თუ 41-კაციან საკრებულოში ოთხი წლისწინანდელი არჩევნების შედეგად ოთხი ოპოზიციონერი მოხვდა, ახლანდელ საკრებულოში ეს რიცხვი შვიდამდე გაიზარდა (3 მაჟორიტარი და 4 პროპორციული).**

ამ არჩევნებმა დაგვარწმუნა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება იყო. ეს ზუგდიდის მაგალითზეც ჩანდა. მოსახლეობამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და, შეიძლება ითქვას, ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდელ ამომრჩეველთა მხოლოდ 14-15 პროცენტმა... თუმცაღა, ოფიციალურად აღრიცხეს 37 პროცენტი! ხალხი უფრო ბრძენი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკური პარტიები და მათი ხელმძღვანელები.

არჩევნებს უნდობლობა გამოუცხადეს ზუგდიდში მცხოვრებმა დევნილებმაც, თუმცა არც ხელისუფლება გარჯილა მაინცდამაინც მათ გასააქტიურებლად. არჩევნების წინ დევნილებს ის ერთჯერადი დახმარებაც მოუხსნეს, რომელსაც



იმათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა აძლევდათ... ეს საქმე ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას დააკისრეს. დააკისრეს, მაგრამ... დახმარება არ ჩანს!

„თუ ჩვენ ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება არაფერში გვეხმარება, მაშინ რა აზრი აქვს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და რატომ უნდა ავირჩიოთ ზუგდიდის საკრებულო?“ — აცხადებდნენ დევნილები. ზუგდიდში კარგად ახსოვთ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას გათამაშებული სპექტაკლი, თუმცა, ამჟამად დევნილებისთვის არავის შეუშლია ხელი, გადმოელახათ ე.წ. საზღვარი და გამოეხატათ თავიანთი ნება... მაგრამ ამ ნების გამოხატვა თავად დევნილებმა არ ისურვეს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

ვინ – ვის?



*30 მაისის არჩევნების წინ, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, რომ ხელისუფლება არჩევნებზე 60 პროცენტს დაიწერდა, რადგან ეს პროცენტი თავად შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დაასახელა. ამის გამო ნოღაიდელისგან გაისმოდა მუქარა, რომ თუ არჩევნები გაყალბდებოდა, ხელისუფლებას აჯანყების გზით შეცვლიდნენ. არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ სახელისუფლებო გუნდმა 50 პროცენტზე მეტი ხმა მოიპოვა ოპოზიციამ და მათ შორის „ეროვნულმა საბჭომ“ კი — ხმების მცირე რაოდენობა. ამ შედეგების გათვალისწინებით, როგორია მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ შეფასება არჩევნების ობიექტურობასთან დაკავშირებით და რა რეაქცია ექნებათ მათ ამ შედეგებზე, საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერს პეტრე მამრაძეს ესაუბრა.*

# „ოპოზიციამ, რომელმაც თავის დროზე რუსთაველი საკნებით გადაკეტა, დღეს უუნარობა გამოიჩინა“

**— ბატონო პეტრე, ამ შედეგებს ელოდით თუ არა?**

— კი, ველოდით. ხელისუფლებამ ხომ წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენა აბსოლუტურად ყველა რესურსი. ამასთან, კარგად დავინახეთ, თუ როგორი მობილიზება იყო არჩევნების დღეს და როგორ მუშაობდნენ მათი კოორდინატორები ამომრჩევლების უბანზე მისაყვანად.

იმ ოპოზიციამ, რომელმაც თავის დროზე რუსთაველი საკნებით გადაკეტა, თავისი უუნარობა აჩვენა. მე მახსოვს, მაშინ ასეთ რამესაც კი ამბობდნენ: ოპოზიცია ამ მიტინგებს იმიტომ აწყობს, რომ ხალხს დაანახოს, ისევ მიშას ყოფნა სჯობიაო.

**— ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ 9 აპრილის აქციების უშედეგობით გამოწვეული უიმედობა ხალხს ამ არჩევნებამდე გამოჰყვა და „ნაციონალების“ ამომრჩევლის სრული მობილიზების ფონზე ოპოზიციური ამომრჩეველი არჩევნებზე არ მოვიდა?**

— არა, მთლად ასე არ არის. მე ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი პარტია ყველანაირად მზად იყო ოპოზიციის ერთიანობისთვის ხელი შეეწყო. პრაიმერი ჩვენი იდეა არ ყოფილა. თავიდან დავით გამყრელიძის იდეა იყო, შემდეგ სხვებმა აიტაცეს. ჩვენ არ ვაპირებდით არც მერის კანდიდატურის არც საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატის წარდგენას; უბრალოდ, მათ ვუთხარით, რომ თქვენ რა მეთოდითაც გინდათ, პრაიმერით თუ სოციოლოგიური გამოკითხვით, ერთიანობას მიაღწიეთ და ჩვენ მხარში დაგიდგებით-თქო, მაგრამ ოპოზიციამ ერთობის მიღწევა და საერთო კანდიდატზე შეთანხმება ვერ შეძლო. ჩვენ ჩვენი სიტყვის პატრონები ვართ და ამომრჩეველს რასაც დავპირდით, იმას შევასრულებთ.

**— დაპირებაში იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ არჩევნებამდე ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, თუ არჩევნები გაყალბდებოდა, ამ ხელისუფლებას აჯანყებით ჩამოაგდებდით?**

— ეს განცხადება მაშინ ქართულმა მედიამ კონტექსტიდან ამოგლეჯილი, არასწორი ინტერპრეტაციით გაავრცელა. მან თქვა, რომ თუ არჩევნები მასობრივად გაყალბდება და საზოგადოებას გაუჩნდებოდა განცდა იმისა, რომ მათი ხმები მასობრივად გააყალბეს და არჩევანის უფლება წაართვეს, მაშინ მისი პოლიტიკური ძალა ხალხის გვერდით დადგებოდა და ამ ხელისუფლებას აჯანყებით ჩამოაგდებდა.




**— ანუ ფიქრობთ, რომ არჩევნები არ გაყალბებულა?**

— არა, არ გაყალბებულა. მათ ყველაფერი არჩევნებამდე მოიმზადეს და ეს პროცენტები სულ სხვა მეთოდებით დაიწერეს. პირველი მიზეზი არის ის, რომ იმ სამ ტელეკომპანიას აკონტროლებენ, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ. მათი მეშვეობით თავისი თავის გაპიარების გარდა, ოპოზიციის დისკრედიტაციასაც ეწევიან. მეორე, მათ აქვთ ის მატერიალური რესურსი, რაც ოპოზიციას არ გააჩნია. აბა, რომელიმე ბიზნესმენმა გაბედოს და ოპოზიციონერი კანდიდატი დააფინანსოს, ნახავთ მის ბიზნესს რაც დაემართება. სამაგიეროდ, ბიზნესმენთა უმრავლესობა სახელისუფლებო პარტიას აფინანსებს. მნიშვნელობა არ აქვს, ამას თავისი სურვილით აკეთებენ თუ იძულებით. გასათვალისწინებელია ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლა და ის შიში, რომელიც მოსახლეობაში დანერგეს. განსაკუთრებით სახელმწიფო სამსახურში მომსახურე ადამიანებში.

**— ბატონო პეტრე, ყოველივე ამის გათვალისწინებით, რას აპირებს მომავალში მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— ჩვენი სამომავლო გეგმები ასეთია: **პირველი** — ქვეყანაში შევცვალოთ საპრეზიდენტო წყობილების მოდელი და გადავიდეთ საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე. ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში ერთპიროვნული მმართველობა უნდა დამთავრდეს. ამან ქვეყანას კარგი არაფერი მოუტანა. **მეორე** — ეს არის რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დაძვრა. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა და გაუმჯობესება მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია, ამ ხელისუფლებას კი, ეს არ სურს. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებში, რომ ეს მოხდეს. **მესამე** — ეს არის ჩვენი ეკონომიკური პროგრამა. რაც ზურაბ ნოღაიდელი გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, ქვეყნის საგარეო ვალები კატასტროფულად გაიზრდა და ეკონომიკამ უკუსვლა დაიწყო. ქართულ ეკონომიკაში თუკი რაიმე წინსვლა იყო, ეს მოხდა ზურაბ ნოღაიდელის პრემიერობის დროს. შესაბამისად, ამ ადამიანმა უკვე დაამტკიცა, რომ რეალუარად შეუძლია ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესება და განვითარება.

**— ბატონო პეტრე, თქვენ რა გეგმები და პროგრამებიც ჩამოთვალეთ ეს პროგრამები მოსახლეობამ არჩევნების გზით უნდა დააფასოს, რომ თქვენ ხელისუფლებაში მოხვიდეთ, ესე იგი მომავალ არჩევნებამდე მოცდას აპირებთ?**

— ერთს გეტყვით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ კონსტიტუციის ფარგლებში და ყოველთვის კანონიერი გზით ვიმოქმედებთ.

სცენის ოსტატი

# ყველგან კაი კაცი...

**დიდი ტრადიციების მქონე სახელგანთქმულ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას მუდამ ამშვენებდა სცენის უნიჭიერესი მსახიობები. ერთ-ერთი მათგანია როლანდ ნადარეიშვილი. მან თავისი შემოქმედებითი მრავალფეროვნებით ფართო მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. აქტიორის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე ობლად ვიზრდებოდი. სწავლასთან ერთად, ვმუშაობდი ფიზიკურად, რომ დედას დავხმარებოდი ჩემი ორი დის აღზრდაში (მამა ფაშიზმს ებრძოდა). მერე მსახიობის პროფესიის დიდმა სიყვარულმა ფოთის თეატრში მიმიყვანა.**



აქ სპექტაკლში „სამი ოჯახი“ ვაჟიკას როლის განსახიერებისთვის 17 წლის „მსახიობი“ მთელმა დასმა გულში ჩამიხუტა“. ამ დღიდან თეატრის სიყვარულით შთაგონებულმა, სიტკბოც ბევრი იგემა და სიმწარეც, მაგრამ არასოდეს დაუკვნესია და გულში ფიქრადაც არ გაუვლია სხვა გზა აერჩია ცხოვრებაში. იგი ყოველთვის მტკიცედ და შეურყევლად იდგა ქართული კულტურის საგანძურის ავანსცენაზე. ბატონმა როლანდმა მშობლიური ფოთის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და თბილისის თეატრებში მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში, როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ თემაზე დადგმულ სპექტაკლებში მრავალი დრამატული, კომედიური და სახასიათო როლების ოსტატურად შესრულებით გაამდიდრა ამ თეატრების რეპერტუარი. ბატონ როლანდისთვის არც კინემატოგრაფი ყოფილა უცხო.

იგი ხშირად მდგარა პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ გადასაღებ მოედნებზე. ამასთან, მისი, როგორც მხატვრულად მოაზროვნის ლექსებით, მოთხრობებითა და მინიატიურებით გულით ხარობდნენ ქართველი მკითხველები. ამას წინათ გაზეთმა „ქრონიკამ“ მთელი გვერდი დაუთმო როლანდ ნადარეიშვილის იუმორისტულ გამონათქვამებს. ასე რომ, მრავალმასშტაბიანი აქტიორის სტიქია მაინც კომედიური როლები იყო, რომლებითაც სატირის თეატრის დამაარსებლის, დიდი თენგიზ ჩანტლაძის გვერდით ბატონი როლანდიც კომიკური ხელოვნების ბრწყინვალე ხასიათებს ქმნიდა.

დღეს, „ჩარეცხილ“ ქართველ მოღვაწეთა შორის სულზე უტკბესი თეატრის მიღმა დარჩენილი 70 წლის „ჭაბუკი“ დიდი გულისტკივილით იტყვის: „თეატრში ცუდს არაფერს შევიტანდი... ისე მწყურია სცენაზე დგომა, ვით დაჭრილ ირემს წყარო ანკარა“.

**ბიძინა გეგეშიძე,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე.**

წყალმომარაგება

# ყველა აუზი სამ წელიწადში აივსება...

**საქართველოს უკლებლივ ყველა მხარე და მსხვილი ქალაქი, უამრავი დაბა თუ სოფელი მეტნაკლები სიმძაფრით უწყლობას რომ განიცდის, ყველაზე უკეთ ამის შესახებ იქაურმა მოსახლეობამ იცის. მართალია ყოველი ადგილობრივი არჩევნების წინ თითოეული დეპუტატი „დედას იფიცება“, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად ძალ-ღონეს არ დაიშურებს, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქმეს საშველი მაინც არ ადგება, რის მთავარი მიზეზი მაინც უსახსრობაა.**

თუმცა ისევე, როგორც ყველაფერ ცუდს ოდესღაც ბოლო მოეღება ხოლმე, ახლო მომავალში, როგორც ჩანს, ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში წყალმომარაგების საკითხიც სასიკეთოდ გადაწყდება. საქმე ის არის, რომ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ახალი ქსელების გასაყვანად და ამორტიზებულების სარეაბილიტაციოდ საჭირო ფინანსურ სახსრებს იაფიანი კრედიტით საქართველოს მთავრობა რამდენიმე საერთაშორისო ბანკიდან მიიღებს. სადღეისოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ქვეყნის მთავრობა და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ევროპის საინვესტიციო, ასევე ევროპისა და აზიის განვითარების ბანკებთან აწარმოებს, რის შედეგად საწყის ეტაპზე მილიონი ლარის კრედიტის გამოყოფის თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. საგულისხმოა, რომ გრძელვადიანი იაფი კრადიტის საშეღავათო პერიოდი დაახლოებით 15 წელია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების სისტემის გასამართად საჭირო სათანადო სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებით საქართველოში დასახლებული ტერიტორიის თითქმის ნახევარია მოცული. მათ უფრო ფართოდ გაშლასა და მეტი ინტენსივობით წარმოებას დიდად შეუშალა ხელი გაზაფხულის კოკისპირულმა წვიმებმა, თუმცა როგორც იქნა გამოიდარა და ახლა სამუშაოები უფრო აქტიურად წარიმართება.

იხ. 7 გვ.

## საქართველო ოკეანის გაღმა

***გასულ შაბათ დღეს, 29 მაისს ნიუ-იორკის, ამერიკისა და მსოფლიოს ყველაზე მთავარ ფინანსურ ქუჩაზე, იქ, სადაც Wall Street-ული რკინის ხარი დგას, წელს, ისევე როგორც შარშან, ამერიკული დროშის გვერდით ქართული დროშა აღმართეს. იმ დღეს ტურისტების მექა Wall Street-ის სტუმრები გაკვირვებულნი თვალ-ყურს ადევნებდნენ, თან ფოტო-ვიდეო კამარებით უჩვეულო სცენას იღებდნენ: თუ როგორ შემოაბრძანეს ომახიანი მუსიკის ფონზე ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილმა, მათთვის შორეული და უცნობი ქვეყნის გოგო-ბიჭებმა წითელ-თეთრი ფერების დიდი დროშა, ხოლო სამხედროფორმიანმა ახალგაზრდა ვაჟმა აღმართა იგი. ასეთი ტრადიცია ამ ქუჩაზე დიდი ხანია არსებობს (საქართველოს დროშის აღმართვამდე თურქეთის დროშით თურქები თავის დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდნენ). ქალაქის მერიისა და პოლიციის ნებართვით შენი ქვეყნის საპატივცემულოდ სამშობლოს დროშის აფრიალებაა შესაძლებელი. დროშას რამდენიმე დღის შემდეგ კი თავად მერიის წარმომადგენელი ჩამოუშვებს და პატრონს გადასცემს.***

# ქართული დროშა და „სამაია“ WALL STREET-ზე



ამჯერად დროშის პატრონი კი, პირდაპირი მნიშვნელობით, Wall Street-ზე ქართველთა შეკრების ორგანიზატორი ლალი სამხარაძეა. დროშა ზომით ამერიკული დროშის თანაბარი უნდა ყოფილიყო (3მ.-1,5მ.-ზე). ემიგრანტებმა სახელმწიფოს ამოდენა სიმბოლო აქ ვერ მოვიძიეთ, ამიტომ ქ-ნმა ლალიმ მისი შეკერვა ნიუ-იორკში მცხოვრებ მადონა გიორგაძეს შეუკვეთა. მადონა გიორგაძე ჩვენებურების მკერავია. იგი აქ, ნიუ-იორკში პატარა ქართველ არტისტებს საცეკვაო ფორმებს უქმნის. ამჯერად კი ნიუ-იორკის თავზე მისი შეკერილი საქართველოს დროშა აფრიალდა.

დროშის აღმართვას ასზე მეტი ქართველი დაესწრო, აქედან ნახევარზე მეტნი – ბავშვები იყვნენ. მათ შორის ქართული ცეკვის ანსამბლების „ფესვების“ (ხელმძღვანელი შორენა ბარბაქაძე) და „ფრესკას“ (ხელმძღვანელი თეა კანდელაკი) მოცეკვავეები. ერაყში ნამყოფმა ამერიკელმა ჯარისკაცმა გიორგი დარგუაშვილმა საქართველოს ჰიმნის ფონზე დროშა აღმართა, ისმოდა ქართული ხალხური მუსიკა, ცეცხლოვან ქართულს პატარები ცეკვავდნენ, მომღერალმა თამარ დავითაშვილმა მისი სტუდიის „თამარიანის“ მოწაფეებთან ერთად „სადმე წამიყვანა“, „ქარი გიმღერის ნანასა“ და მისივე სიმღერა „ჯორჯია“ შეასრულა; ქართული ეკლესიის მგალობელთა გუნდმა „მრავალჟამიერი“ და „შავლეგო“ იმღერა...

**ლალი სამხარაძე,** ფილოლოგი: – ეს დღე ძალიან ამაღელვებელი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ქართული ემიგრაცია სამშობლოსთან ერთად არაერთ რთულ გამოცდას აბარებს. ჩვენთვის, ამერიკაში მცხოვრები ქართველებისთვის და არა მარტო აქ მყოფთათვის, სამშობლო პატარა, სანატრელ სამოთხედ ჩანს. მავანთა ჩანაფიქრით საქართველო რუკაზეც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ მაინც გავუძელით მძიმე განსაცდელებს. აქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტები მარტო საკუთარ ოჯახებს კი არა, არამედ ახლობლებს, მეგობრებს, ქვეყანას ვეხმარებით. ამერიკა უდიდესი შრომითა და სიბეჯითით აშენებული სახელმწიფოა და, ვფიქრობ, ჩვენი მოწოდებაც ისეთივე უნდა იყოს, როგორიც – პრეზიდენტ კენედის საინაუგურაციო სიტყვაში: „არ იკითხო რა შეუძლია შენს ქვეყანას შენთვის გააკეთოს, არამედ იკითხე – რა შეგიძლია შენ შენს ქვეყნას გაუკეთო“.

**გოჩა ლორთქიფანიძე,** საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი: – 26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს, ამერიკა კი 31 მაისს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღეს აღნიშნავს. პირველი თარიღი დამოუკიდებლობის სიმბოლოა, მეორე კი იმისა, თუ რის ფასად მოიპოვება იგი. ნიუ-იორკში, მულტიკულტურულ და მომავლაზე ორიენტირებული იდენტურობის მქონე ადამიანების უდიდესი მეგაპოლისის მთავარ ქუჩაზე – Wall Street-ზე ქართული დროშის აღმართვა დიდი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. 1921 წელს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მარო მაყაშვილი დაიღუპა. დღეს კი ასეთი რეალობა გვაქვს: ნიუ-იორკში და მთელს ამერიკაშიც ქართული ემიგრაციის უდიდეს ნაწილს სწორედ ქართველი ქალბატონები შეადგენენ. ისინი საქართველოს საკეთილდღეოდ ღირსეულად და უდრტვინველად მუშაობენ, ზოგი ექიმად, ზოგი გიდად, ზოგი ძიძად, პოლიციელადაც კი. ისინი არა მარტო ამერიკის, არამედ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც ამყარებენ, რომლის დროშაც დღეს ქართველებმა ერთად აღვმართეთ...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**





## გვეხმაურებიან

# ერთმანეთის ლანძღვაგინებას ვამჯობინოთ ურთიერთგაგება

**შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შესახებ ჰაიდი ტალიავინის დასკვნის მიმართ ჩემს პრეტენზიებს გულში ვინახავდი, ვფიქრობდი, რომ ამ სფეროში ჩემი ცოდნის დონე არ მაძლევს უფლებას – აზრი გავუზიარო საზოგადოებას.**

სრულიად მოულოდნელად, 28 მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ცნობილი რუსი ჟურნალისტის იულია ლატინინას სტატიას გავეცანი და მასში ზემოხსენებული ჩემი აზრები შევიცანი. ჩემი გამოხმაურება აღნიშნულ სტატიაზე სრულებითაც არ ისახავს მიზნად აგვისტოს საომარ მოქმედებაში საქართველოს ხელისუფლების პოზიციის გამართლებას, არც რუსეთთან „შერიგებისა“ და საერთო ენის გამონახვის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მინდა, სრული მხარდაჭერა გამოვთქვა ტალიავინის ცნობილი დასკვნის მიმართ ლატინინასეულ მიდგომაზე. ნებისმიერი მკითხველი იულია ლატინინას სტატიაში აშკარად იგრძნობს ავტორის ობიექტურობასა და გულწრფელობას, მისთვის უცხოა „შიში და გულგრილობა, რაც დიქტატურას ახალისებს“. ავტორის აზრით, ტალიავინის დასკვნა სრულებითაც არ ახდენს იმ ჭორების ანალიზს, რომლებიც „გამოყენებული იქნა“ რუსული არმიის შეჭრისა და ქართული სოფლების ეთნიკური წმენდისთვის! დოკუმენტის ავტორები მორცხვად (უფრო სწორად – ურცხვად. **რ.ტ.**) დუმან ამის შესახებ, ეს კი იგივეა, რაც აღწერო ნაციზმი და არ ახსენო ნაცისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ ებრაელები ქრისტიანულ სისხლს სვამენ...“

ტალიავინის დასკვნა ომის წინა პერიოდის მოვლენებს და ომის გამომწვევ მიზეზებს დუმილით უვლის გვერდს. ლატინინა არ ერიდება საომარი მოქმედების ზონაში რუსეთის მიერ მიზნობრივად შემოგზავნილ დაქირავებულ ჟურნალისტთა „მოღვაწეობის“ ანალიზს, რის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად მოყვანილი აქვს მასმედიაში გავრცელებული ყალბი ცნობა ქართველების მიერ ოსური სოფლების – დმენისისა და ხეთაგუროვის განადგურების შესახებ. ფაქტობრივად კი ეს სოფლები არავის გაუნადგურებია, ქართული სოფელი ნული (ასევე მრავალი სხვა – **რ.ტ.**) კი გადამწვარია.

ამავე სტატიიდან ვგებულობთ, რომ ცხინვალმა ნგრევა და განადგურება ძირითადად რუსეთის არმიის საპასუხო დარტყმებით განიცადა.

„... ეს რუსები ბომბავდნენ ყველას და ყველაფერს ქალაქიდან ქართველების გასადევნად! – **თუ ასეა, მაშინ ტალიავინის კომისიას ამისთვისაც უნდა მიეცა შეფასება“.** იულია ლატინინას არცთუ დაუსაბუთებელი დასკვნით, ქართულ ჯარს ცხინვალში მაინცდამაინც არავინ გაუნადგურებიათ, მათ საწინააღმდეგოდ რუსული ბომბები და ჭურვები გახდნენ ქალაქში მრავალი უბედურების მომტანი.

**„როგორ უნდა შეფასდეს იმ მოსახლეობის ტოტალური დაბომბვა, რომელსაც „განადგურებისგან იცავ?“ და რას ამბობს ამაზე ტალიავინის კომისია? – არაფერს“.**

რა გაეწყობა, როგორც ტალიავინის დასკვნას, ისე, საერთოდ, გაეროს მოქმედებებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხში აშკარად სდევს რუსეთთან („გაზპრომთან“ – **რ.ტ.**) ურთიერთობის გაფუჭების შიში, რაც განუზომლად უფრო დიდია და მნიშვნელოვანი საქართველოზე“.

ტალიავინის დასკვნის ამ მორიდებულ ანალიზს, რაც ძირითადად იულია ლატინინას სტატიის მხარდაჭერით გამოიხატება, მცირეოდენ ჩემს მოსაზრებასაც დავუმატებ.

რამდენიც გნებავთ მსოფლიოში, ადრეც და ბოლო პერიოდშიც, გვაქვს მაგალითები იმისა, რომ ესა თუ ის ქვეყანა თავის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ნებისმიერი ხასიათის ანტიეროვნულ თუ ანტისახელმწიფოებრივ ბუნტს ძალისმიერი მეთოდებით ახშობს. ასე იყო თავის დროზე, ინგლისსა თუ შოტლანდიაში, ესპანეთსა თუ პორტუგალიაში, ჩინეთში, თვით რუსეთში და მრავალ სხვა ქვეყანაში. მხოლოდ ჩვენი ბამბა აჩხრიალდა. ქართველ ჯარისკაცს საქართველოს საზღვრებს გარეთ ფეხი არ გაუდგამს. რუსეთის ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას არავითარი გამართლება არ ჰქონია. სიყალბეა მშვიდობის დამცველებზე თავდასხმა ან კიდევ რუსი ეროვნების მოქალაქეთა დაცვის საჭიროება (საქართველოში მცხოვრები არც ერთი რუსი ეროვნების პიროვნება არავითარ საფრთხეს არ განიცდის).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული არანორმალური და სამართლიანობას მოკლებული მდგომარეობა გაეროს ქმედითუნარიანობის დეფიციტზე მეტყველებს. სხვა უფრო აშკარა მაგალითს ძლიერი ქვეყნის მიერ მოსაზღვრედ მდებარე პატარა ქვეყნის დაჩაგვრისა, ვერ ნახავთ. გაერო კი მხოლოდ რეზოლუციებით, პროტოკოლებით და ცრუ დაპირებებით უპასუხებს თანაცხოვრების საერთაშორისო ნორმების უხეშად დარღვევის ამ ფაქტს.

კიდევ ერთს დავუმატებდი. ხალხები აქ არაფერ შუაშია. საყოველთაოდ ცნობილია ერთმორწმუნე რუსი და ქართველი ხალხების კეთილი ურთიერთობა. ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ხელოვნურად გაღვივებულ მტრობასაც დროულად უნდა განეიტრალება.

ერთმანეთის ლანძღვასა და გინებას ვამჯობინოთ ურთიერთგაგება, ხალხების დაახლოება და ამით კეთილი ურთიერთობის აღდგენა. ყველაფერი ეს უნდა შევძლოთ სხვის ჩაურევლად.

**რევაზ ტყემალაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ღირსების ორდენოსანი**

### საით მივექანებით?

# რა აფრთხობს ანგელოზს?

**ბილწსიტყვაობა ბევრი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესადაა ქცეული. ახალგაზრდები გაბრაზებასა და წყენას უშვერი სიტყვებით გამოხატავენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ტელევიზია, რომლის შესახებ ილია II 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში ამბობს:**

> ***„საზოგადოების და, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის მსოფლმხედველობას მნიშვნელოვნად აყალიბებს ტელევიზია. სამწუხაროდ, მისი საშუალებით ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე გადაცემებით არატრადიციული ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობას. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება მომავალი თაობა. განვითარებულ სახელმწიფოებში, ოფიციალური და წამყვანი ტელევიზიებით თითქმის არსად არ უჩვენებენ ძალადობის, ნარკომანიის, აღვირახსნილობის ამსახველ ფილმებსა და გადაცემებს.“***

მცირეწლოვანთა დაცვა მასმედიის მავნე ზემოქმედებისგან საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებაა, რომელსაც ყველა სახელმწიფო უნდა ასრულებდეს. 2006 წელს გიგა ბოკერიასა და მემარჯვენეთა ინიციატივით არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევებისთვის ევროპული ქვეყნების ანალოგიით შემოღებული ჯარიმებიც გააუქმა პარლამენტმა, რაც მასმედიის თავისუფლების დაცვის საბაბით განხორციელდა. 2009 წელს მიღებული შეზღუდვები ჰქონდათ მცირეწლოვანთა ფსიქიკის დაცვის თვალსაზრისით, საბოლოოდ კი ყოველივე ამან სავალალო სიტუაცია შექმნა ქართულ ტელეეკრანზე. პრაქტიკულად ყოველდღიურად ტელესივრცე გადატვირთულია ძალადობით და ბილწსიტყვაობით. ევროპის ქვეყნებში ასეთი დარღვევებისთვის ტელევიზიებს საკმაოდ დიდ ჯარიმებს უწესებენ. ჩვენთან კი ასეთი რამ არ არსებობს.

ქართული ტელევიზიები დღის ეთერში არ ერიდებიან ისეთი ფილმების გაშვებას, რომლებშიც ხშირია ძალადობა, ბილწსიტყვაობა და ეროტიკული სცენები. სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ იმ ახალგაზრდებში, ვინც დიდხანს უყურებს მედიაძალადობას და უსმენს ბილწსიტყვაობას 18-20 წლის ასაკში, 15 პროცენტით იზრდება კრიმინალურ შემთხვევათა რაოდენობა. კვლევა იმას აჩვენებს, რომ ბავშვობაში ნანახმა ძალადობის სცენებმა შეიძლება წლების შემდეგ მოახდინონ ზეგავლენა. ამიტომ ძირითადად მამები უნდა შეეცადონ, გააკონტროლონ თავიანთი თავი და ბავშვების წინაშე არ გამოიყენონ უწმაწური სიტყვები. ახალგაზრდები არც ბავშვებს ერიდებიან არც უფროსებს და უწმაწური სიტყვებით თავისუფლად საუბრობენ. უწინ მხოლოდ მამაკაცები ბილწსიტყვაობდნენ ახლა კი, ვგონებ, ქალებმა გადაასწრეს მათ. ზოგი ქალი ისე იგინება, რომ მის გვერდით მამაკაცსაც შეიძლება სირცხვილის გრძნობა გაუჩნდეს.

ბილწსიტყვაობამ თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც იჩინა თავი. უხამსი „მწერლობის“ გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდა მწერლების ნაწილს თითქოს სურს, შექმნას მკითხველის ახალი ტიპი... ამასთან დაკავშირებით პროფესორი სოსო სიგუა ამბობს: „ტელესივრცეში, პრესაში, ლიტერატურასა და ჩვენს სოციუმში გავრცელებული ბილწსიტყვაობა, ვულგარიზმები თუ ყოველგვარი პათოლოგიის სახე გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებული ნიჰილიზმით, რაც სოციოლოგიურ პრობლემათა რიგს უფრო მიეკუთვნება. როდესაც სახელმწიფო ძლიერია და უფრთხილდება მოქალაქეთა სულიერ თუ სოციალურ ცხოვრებას, სახელმწიფო ენას, ზნეობას, კულტურას, მაშინ ერიც მტკიცედ გრძნობს თავს, მაგრამ როდესაც ქვეყანა მიემართება დაშლის გზით, მაშინ იმსხვრევა იდეალები, ეცემა ენა, ზნეობა, ბატონდება აღვირახსნილობა, რომელიც ჰპოვებს კიდეც თავის გამოხატულებას სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, ლიტერატურაში.“

ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულია საკუთარი დედის და მამის გინება – „ჩემი დედა...“, „მამაჩემის ბოზი ვიყო“. რომელიც უკვე წარმოადგენს ბილწსიტყვაობის მთელ შტოს და ისეთ სათნოებას ბღალავს და დასცინის, როგორიც არის ქალწულობა, ქორწინება და შვილოსნობა. ამ გინებათა სახელწოდებანი, ჩვენდა სამწუხაროდ, წარმოიშვა სიტყვა „ღმერთის“ შემდეგ ჩვენთვის ყველაზე წმინდა სიტყვიდან **დედა: ღვთისმშობელი, დედაეკლესია, დედაენა, დედამიწა** და ასე შემდეგ. აი, ამ წმინდა სიტყვის სიწმიდის შესაბღალავად არის სატანის კარნახით შედგენილი ასობით სიტყვათა შეთანხმება, რომლებიც ყველაზე ამაზრზენი ფორმებით არის გამოხატული.



ახალგაზრდებში ჩატარებული გამოკითხვის დროს 19 წლის თეო მესხმა თქვა: „მე მაშინ ვიყენებ უწმაწურ სიტყვებს, როცა ჩემს თანატოლებს ჩვეულებრივი საუბრით ვერ ვაგებინებ. ბილწსიტყვაობა ხშირად სიამოვნებას მანიჭებს.“ 17 წლის ნანა კამლაძემ აღნიშნა, რომ ბილწი სიტყვების გამოყენებით უფრო ადვილად აგებინებს ადამიანებს და თან ამ ყველაფრით ერთობა.“ 18 წლის გოგა მიმინოშვილი კი ამბობს: „ყოველ სიტყვაში ვბილწსიტყვაობ და ამის სულაც არ მრცხვენია, გინებით გულს ვიოხებ.“ რაც შეეხება 19 წლის კახა აბაშიძეს, „მე ბილწსიტყვაობას მხოლოდ აგრესიის გამოსახატავად ვიყენებ.“

ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ ე.წ. დედათაობიდან მომავალი თაობის გამოყოფის პროცესი ერთობ მტკივნეულია და თაობათა აგრესიული დაპირისპირებაც ამ გამოყოფის შედეგია. ფსიქოლოგ ქეთევან თავართქილაძის აზრით, მოზარდის ანტიჰუმანურობა, დაუნდობლობა, ეთიკური, ზნეობრივი კრიტერიუმების არარსებობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური სიმწიფის პრობლემაა, რომლის მოგვარება მთლიანად მოზრდილებზეა დამოკიდებული; და ეს არა მარტო პოლიციელებისა და სოციალური მუშაკების, არამედ – მთელი საზოგადოების ამოცანაა. საჭიროა მოზარდებთან მეტი კონტაქტი და არა მათზე კონტროლის გაძლიერება. ზოგ მოზარდზე მოქმედებს გარშემომყოფი ხალხი. თუ მის ოჯახში არის გამუდმებული ჩხუბი და დაძაბულობა, ეს მოზარდის ფსიქიკაზეც აისახება.

მამა დავითის აზრით, სწორედ აგრესია და მრისხანება არის თანამედროვე ქრისტიანების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ცოდვა, რასთან ბრძოლასაც ადამიანები ხშირად არ ვცდილობთ და, რაც მთავარია, ეს ცოდვა ძალიან ბევრ სათნოებას განგვაშორებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მიერ წარმოთქმულ ყოველ უწმაწურ და, მით უმეტეს, უხამს სიტყვას, მოჰყვება მთელი რიგი ცუდი შედეგები.

მრისხანებაზე გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ენის დამორჩილებას ნიშნავს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ადამიანს შეებრძოლოს საკუთარ თავში დაბუდებულ მრისხანე აზრებს. ბილწად მოუბარი ადამიანი თავის ირგვლივ ბილწავს თვით ჰაერსაც, რომელიც გაჟღენთილია სიმყრალით. ჭეშმარიტი სულიერი ადამიანი მიახლოებისთანავე შეიგრძნობს ამ სიმყრალეს და განჭვრეტს ამ სიბილწეს. სატანამ წააქეზა ადამიანები, რომ მათ გამოეგონათ ყველანაირი ბილწსიტყვაობის, უხამსი გამონათქვამებისა და სიტყვათშეთანხმებების მთელი ლექსიკონი, რომელიც უკვე მთელ მსოფლიოში ქმნის ბილწსისტემას და წარმოადგენს ბილწ სიტყვათა სრულ და მდიდარ კავშირს. ბილწსიტყვაობა ადამიანს მფარველ ანგელოზს აცილებს. წმიდა მამები გვირჩევენ: ვიდრე რამეს ვიტყოდეთ, რამდენჯერმე გონებაში წარმოვთქვათ ლოცვა და მხოლოდ ამის შემდეგ ვუპასუხოთ ადამიანს, რათა არ დავაფრთხოთ ჩვენი მფარველი ანგელოზი.

**მადონა ჩაჩავა,**
**აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი**

### წყალმომარაგება

# ყველა აუზი სამ წელიწადში აივსება...

ეს პროცესი, ბუნებრივია, ყველგან ერთნაირი ინტენსივობით ვერ წავა, რადგან საკმარისი ფინანსური სახსრების ქონების შემთხვევაშიც კი, ყველა დასახლებულ პუნქტსა და უბანს ერთიანად ვერ მოევლება თუნდაც სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო. ქვეყნის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა ეტაპობრივად უნდა მოწესრიგდეს და ეს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული საქართველოს წყალმომარაგების კომპანიაში. თანაც გასათვალისწინებელია, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში გაყვანილი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები, ფაქტობრივად, ყველგან, გარდა ფიზიკური ამორტიზებისა, მორალურადაც მოძველებულია, ამიტომ, მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ინფრასტრუქტურა მთლიანადაა გარდასაქმნელი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ დასახლებულ პუნქტებზე, სადაც წყალმომარაგების სისტემა არსებობს, თორემ ზოგან (თან საკმაოდ ბევრგანაცძ ასეთი არც არასდროს ყოფილა, ამიტომ აქ ყველაფერი „ნულოვანი“ ნიშნულიდან უნდა დაიწყოს.

დასახული გეგმის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოდერნიზება-აშენების სამუშაოები სამ ეტაპად ჩატარდება. მათ შორის, პირველი ეტაპი წლის მიწურულს დასრულდება, მეორე ეტაპი – 2012 წელს, მესამე კი – 2013 წელს, **რის შემდეგ საქართველოს დასახლებული ტერიტორიები უწყვეტი წყალმომარაგებისა და თანამედროვე განმწმენდი ნაგებობებით იქნება უზრუნველყოფილი,** – აცხადებენ კომპანიაში.



სადღეისოდ ახალი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის თანამედროვე დონეზე მართვადი სისტემის დაპროექტება მიმდინარეობს ხუთი ქალაქისთვის – **ქუთაისისთვის, მესტიისთვის, მარნეულისთვის, ფოთისთვის, ასევე ზუგდიდისთვის (ანაკლიის ჩათვლით).**

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მართვის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებს ასევე სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომსახურება სჭირდება, რომელთა დეფიციტი ჩვენში საკმაოდ მნიშვნელოვანია და გარკვეულ დაბრკოლებას ჰქმნის მათი გამართული მუშაობისთვის. შესაბამისი კადრების საქართველოში მომზადების ახლა დაწყებას სისტემების მწყობრში ჩადგომაზე გაცილებით მეტი დრო სჭირდება და, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე დაიწყეს სერიოზული მუშაობა, ამჟამად ამ სისტემების მუშაკთა გადამზადებაში კომპანიას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დონორები გაუწევენ დახმარებას. ქართულმა მხარემ კი, თავის მხრივ, სფეროს მომსახურებისთვის აუცილებელი პროფესიების ახალგაზრდობისთვის მიმზიდველობაზე უნდა იზრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კადრების ნაკლებლობა თანამედროვე მართვის სისტემებით აღჭურვილი ქსელების სათანადო რეჟიმით მუშაობას დიდ სირთულეებს შეუქმნის.

დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მას შემდეგ, რაც ქვეყნის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების დაპროექტება-აშენება-რეაბილიტაციაში სამი მილიარდი დოლარის ინვესტირება განხორციელდება, მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადი მოიმატებს.** წყლის ტარიფის ზრდა უეჭველად მოხდება იქ, სადაც მომხმარებლამდე მისი მიწოდებისთვის აუცილებელი იქნება საქაჩი ტუმბოების დადგმა, რომელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგია გადასახადში აისახება. აქვე ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაგალითად, **ზუგდიდის, ანაკლიისა და მესტიის მომხმარებლებს** წყალი თვითდინებით მიეწოდება, ამდენად იქ მისი ტარიფი, წესით, არ უნდა გაიზარდოს.

**თუ როგორი იქნება ჩვენი მოსახლეობის წყალმომარაგება და რამდენად „რბილი“ – სასმელი წყლის ტარიფი ამ სიმდიდრით ასე უხვად დასაჩუქრებული საქართველოს მოსახლეობისთვის, მაქსიმუმ სამ წელიწადში გავიგებთ.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მერის არჩევნებში პრეზიდენტმა გაიმარჯვა

**საქართველოში შეაჯამეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შედეგები. არჩევნების მთავარი შედეგი გახდა მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის გიგი უგულავას გამარჯვება თბილისის მერის ისტორიაში პირველად არჩევნებში. კენჭისყრამ აჩვენა, რომ რევოლუციური პოტენციალი საქართველოში ამოწურულია, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი კი – ესაა წარმატება სერიოზული და ხანგრძლივი დროით**

წინასწარი მონაცემებით, გიგი უგულავამ მოაგროვა ხმების 54 პროცენტზე მეტი. მისმა მთავარმა მეტოქემ „ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ – დაახლოებით 20 პროცენტი, კანდიდატმა „ქრისტიან-დემოკრატიული" პარტიიდან გიორგი ჭანტურიამ – 10 პროცენტი. ადგილობრივი პარლამენტის არჩევნებში მთელ ქვეყანაში, ასევე ლიდერობს მმართველი პარტია, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი სააკაშვილი: მან ხმების ნახევარზე მეტი მოაგროვა. „საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ციფრები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არსებითად არ შეიცვლება", – განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ლიანა გურგულიამ.

შედეგების გამოქვეყნებისთანავე თბილისის ახლადარჩეულმა მერმა მოუწოდა ყოფილ მეტოქეებს თანამშრომლობისკენ, აღნიშნა, რომ მათ პროგრამებში იყო „რაციონალური მარცვლები". გიგი უგულავამ შესთავაზა ოპონენტებს შეხვედრა, რათა განიხილონ მათი წინადადებანი. მაგრამ მის მოწოდებას გამოეხმაურა მხოლოდ გიორგი ჭანტურია, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა ითანამშრომლოს ახლად არჩეულ მერთან. ირაკლი ალასანიამ მერის ინიციატივას კომენტარი არ გაუკეთა, პარტიის – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა, ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ წყნარად ჩაილაპარაკა: „თუ თბილისელებმა ხმა მისცეს ასეთ მერს, უკეთესის ღირსი არც არიან, მე კი ყველაფერი წესრიგში მაქვს კეთილდღეობასთან დაკავშირებით".

დამოუკიდებელი ექსპერტები მიუთითებენ ოპოზიციის სერიოზულ შეცდომებს, რამაც ხელისუფლების პარტიას მოუტანა გამარჯვება. „ოპოზიციის დამარცხების მთავარი მიზეზი არის ის, რომ მან ვერ შეძლო მობილიზება საპროტესტო ელექტორატზე, მაშინ, როდესაც მმართველმა პარტიამ უზრუნველყო თავისი მომხრეების 100 პროცენტის გამოცხადება, – განაცხადა პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. – ოპოზიციონერები გათიშული იყვნენ, მათ ვერ შეძლეს ერთიანი კანდიდატის დასახელება". ექსპერტის აზრით, ხელისუფლებამ აჯობა ოპოზიციას, როდესაც ჩაითრია იგი მისთვის უპერსპექტივო დისკუსიებში მუნიციპალურ და კომუნალურ პრობლემებთან დაკავშირებით. „მათი გადაწყვეტისთვის ხელისუფლებას მეტი რესურსები აქვს, ვიდრე ოპოზიციას, რომელსაც აპელირება უნდა მოეხდინა სიტყვის თავისუფლების პრობლემებზე, პოლიტპატიმრებზე და ამით აემაღლებინათ დაძაბულობის გრადუსი, რათა მოეხდინათ თავისი ელექტორატის მობილიზაცია", – მიაჩნია პოლიტოლოგს.



საერთაშორისო მეთვალყურეები საუბრობენ სერიოზული დარღვევების შესახებ არჩევნების მსვლელობის დროს. მაგალითად, ეუთოს წარმომადგენლები სპეციალურ განცხადებაში აღნიშნავენ: „მართალია ხელისუფლებამ არჩევნები მოაწყო გამჭვირვალედ და პროფესიულად, არჩევნების დღეს ზოგიერთ რეგიონში შეინიშნებოდა სისტემატური დარღვევები. ადგილი ჰქონდა საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრის რამდენიმე შემთხვევას, აგრეთვე ხმების დათვლის დროს პროცედურულ დარღვევებს".

სხვათა შორის, მეთვალყურეთა კრიტიკული შენიშვნები კეთდება არჩევნების „პროგრესის" პარალელურად. ამიტომ მათი ვერდიქტი ძნელად რომ დაეხმარება პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს მოახდინონ ხალხის ახალი რევოლუცია, რის შესახებაც ისინი დიდი ხანია საუბრობენ. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი პარტია საკმაოდ კმაყოფილია შედეგებით. ამის შესახებ, კერძოდ, განაცხადა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ლალიაშვილმა.

2012 წლის გაზაფხულზე საქართველოში გაიმართება პარლამენტის არჩევნები, 2013 წლის იანვარში კი – პრეზიდენტისა. ამჟამინდელ არჩევნებში შედარებით წარმატების პირობებში ქრისტიანი დემოკრატებიც, ალიანსიც არ არიან დაინტერესებული, რომ პოლიტიკური სისტემა აფეთქდეს ახალი რევოლუციით, რისკენაც მოუწოდებენ პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე და პარტიების ზოგიერთი ლიდერებიც. 6 მაისის მოვლენებსაც, როდესაც რადიკალების მოწოდებას გამოსულიყვნენ ქუჩაში და ჩაეშალათ თბილისში პოლიციის აღლუმი, გამოეხმაურა მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი, რაც ადასტურებს: რევოლუციური პოტენციალი საქართველოში ამოწურულია, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი – ესაა წარმატება სერიოზული და ხანგრძლივი დროით.

**გიორგი დვალი**

Коммерсант

# ეუთო: არჩევნებმა საქართველოში კარგად ჩაიარა, მაგრამ არა უზადოდ

**საქართველოში მუნიციპალურ არჩევნებში აღინიშნა შესანიშნავი პროგრესი საერთაშორისო სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც – ასეთი დასკვნა გააკეთეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ბიუროსა და ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესის მეთვალყურეებმა, როდესაც აფასებდნენ საქართველოში 30 მაისს გამართულ არჩევნებს**

საერთაშორისო მეთვალყურეების დასკვნით, არჩევნები მთლიანად გაიმართა გამჭვირვალედ და პროფესიულად, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში მაინც დაფიქსირდა დარღვევები.

„ეს არჩევნები აღინიშნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და ხელისუფლების მცდელობით, მოაწესრიგოს კენჭისყრის დროს წარმოქმნილი პრობლემები, – განაცხადა ეუთოს ხანგრძლივი სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელმა ოდრი გლოვერმა. – დადგა დრო გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებებიც და მიღებული იქნეს ეფექტიანი ზომები სახელმწიფო დონეზე გულგრილობის თავიდან ასაცილებლად შემდგომი არჩევნებისთვის".

საერთაშორისო მეთვალყურეები დარღვევათა შორის აღნიშნავენ ზოგიერთ საარჩევნო უბანზე ბიულეტენების მასობრივ ჩაყრას და პროცედურის დარღვევას ხმების დათვლის დროს.

არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 30 მაისს გაიმართა მთელ საქართველოში. ამას გარდა სამ საარჩევნო ოლქში ირჩევდნენ ქვეყნის პარლამენტის დეპუტატებსაც. მაგრამ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო საქართველოს დედაქალაქზე – თბილისზე, სადაც პირველად გაიმართა მერის არჩევნები.

თუ წინასწარი შედეგებით ვიმსჯელებთ, არჩევნებში გაიმარჯვა თბილისის ამჟამინდელმა ქალაქის მმართველმა გიგი უგულავამ. მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა მმართველი პარტიისგან, რაც საშუალებას აძლევს ქვეყნის ხელმძღვანელობას წარმოჩინოს როგორც საქართველოს შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე, რომ იგი სარგებლობს მოსახლეობს მხარდაჭერით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, რომელიც ორშაბათს დილით გამოქვეყნდა, უგულავამ მოაგროვა ხმების 55 პროცენტზე მეტი. ოპოზიციური კანდიდატებიდან ხმების ყველაზე დიდი ოდენობა – 18,19 პროცენტი მოაგროვა ალიანსი საქართველოს ოპოზიციური გაერთიანების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ასევე ლიდერობს პროპორციულ არჩევნებში მთელ ქვეყანაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის სიტყვებით, მთლიანად კენჭისყრის პროცესი მშვიდად გაიმართა.

კენჭისყრის მიმდინარეობას მთელ ქვეყანაში თვალყურს ადევნებდა 13 ათასზე მეტი მეთვალყურე. მთლიანად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 36 ადგილობრივი და 28 საერთაშორისო ორგანიზაცია. ამას გარდა რეგისტრაცია გაიარა მასობრივი ინფორმაციის 54 საშუალებამ.

კენჭისყრის წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა საარჩევნო უბნების დახურვიდან რამდენიმე საათის შემდეგ. მაგრამ მმართველი პარტიისა და საქართველოს პრეზიდენტის მომხრეები უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას ორი ეგზიტპოლის მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ. ეგზიტპოლის გამოკითხვა მოაწყო ამერიკულმა კომპანიამ ტელეკომპანია „იმედის" და „რუსთავი-2"-ის, აგრეთვე გერმანულმა კომპანიამ საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის.

ორივე გამოკითხვა აჩვენებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მნიშვნელოვან უპირატესობას – ხმების 60 პროცენტს.

„ჩვენ ვალდებული ვართ დაველოდოთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას, მაგრამ უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი დღე, 30 მაისი, ეს არის არა რომელიმე კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის გამარჯვება, არამედ მთლიანად საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის გამარჯვება", – განაცხადა უგულავამ მომხრეების ტაშის გრიალში.

„ეს არის გამარჯვება იმიტომაც, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად გაიმართა დედაქალაქის მერის პირდაპირი არჩევნები, პირველად გაიმართა კანდიდატების დებატები პირდაპირ ეთერში, გამარჯვება იმიტომ, რომ ჩვენ ერთად მთელი მსოფლიოს თვალწინ შევეცადეთ მოგვეწყო სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები", – დაუმატა მან.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების მიმდინარეობას ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს „როგორც მეგობრები, ისე მტრები", მაგრამ მთავარია, მისი სიტყვებით, რომ საქართველოს ხალხმა გამოიჩინა „გასაოცარი აქტიურობა", როდესაც წაართვა არგუმენტები მათ, ვინც სკეპტიკურად იყო განწყობილი არჩევნებისადმი.

„ამ არჩევნების საბოლოო შედეგი არის ის, რომ დემოკრატიამ მოიპოვა მორიგი გამარჯვება საქართველოში", – თქვა სააკაშვილმა.

მაგრამ ოპოზიციურმა კანდიდატებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს, ნუ გააკეთებენ ნაჩქარევად დასკვნებს. ალასანიამ განაცხადა, რომ არჩევნების შეფასება მოხდება ხმების სრული დათვლის შემდეგ.

საექსპერტო წრეებში არჩევნების შედეგებს სავსებით კანონზომიერად მიიჩნევენ მთელი რიგი შეცდომების კვალობაზე, რომლებიც დაუშვა ოპოზიციამ, რაც ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის პასიურობის მიზეზი გახდა.

ზოგიერთი ექსპერტების აზრით, არჩევნების შედეგები აჩვენებენ, რომ ეგზალტირებული და რადიკალური ლიდერების დრო საქართველოში დასასრულს უახლოვდება.

„მოსჩანს იმის ტენდენცია, რომ ამომრჩეველთა სიმპათიები დღეს უფრო მეტად ზომიერი კანდიდატებისა და ლიდერების მხარესაა", – ამბობს ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი ვასილ ჭყოიძე.

„როგორც მე მგონია, ოპოზიციამ და მმართველმა პარტიამ საარჩევნო კამპანიის დროს გაითვალისწინეს, რომ საკითხი შეეხებოდა არა ცალკეული პარტიებისა და კანდიდატების გამარჯვებას, არამედ საქართველოს იმიჯს დასავლეთის თვალში", – ასკვნის ექსპერტი.

BBC RUSSIAN.com

**ნინო ახმეტელი**

## დედამიწის ზურგზე



**გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის მოქმედებანი ღაზის სექტორში რეიდთან დაკავშირებით**

ღია განხილვა, რომელზეც მონაწილეების უმრავლესობამ გააკრიტიკა ისრაელის მოქმედება, გრძელდებოდა საათნახევარი. რეზოლუციის ტექსტის განხილვა დახურულ კარს მიღმა გრძელდებოდა 12 საათზე მეტი ხნის განმავლობაში. გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ხომალდების შეიარაღებული დაკავება და მოითხოვა ხომალდების დაუყოვნებლივი გათავისუფლება.

* * *



**ბლოკადის გარღვევისთვის ღაზის სექტორში ემზადება კიდევ ორი ხომალდი, ისრაელი კვლავ გეგმავს დაკავებებს**

ორივე ხომალდს მონაწილეობა უნდა მიეღო „თავისუფლების ფლოტილიის" ლაშქრობაში, მაგრამ ტექნიკური მიზეზებით დაყოვნდნენ ნავსადგურში. ერთ-ერთი ხომალდი ირლანდიიდან მოდიოდა. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ დააკავონ ეს ხომალდი.

* * *

**ფინეთში რუს დედას, ვისაც ძალიშვილი ჩამოართვეს, ემუქრება ციხე – გოგონა მუდმივად გარბის თავშესაფრიდან**



30 მაისს 9 წლის იულიამ ორი ათი წლის ბიჭის დახმარებით გატეხა ფანჯარა თავშესაფარში და გაიქცა. ისინი დააკავეს, როდესაც ცდილობდნენ უბილეთოთ ემგზავრათ მეტროში იმ რაიონამდე, სადაც ცხოვრობდა იულიას დედა. სპეციალურმა სამსახურებმა გააფრთხილეს რუსი ქალბატონი, რომ ბავშვი თუ კიდევ გაიქცევა, ვალენტინა პუტკონენს საციხო ვადა ემუქრება.

* * *

**ბრიტანეთის პრინცის ყოფილმა ცოლმა განმარტა, რომ გამოიტანა იგი „გასაყიდად" ლოთობის გამო**

ჰერცოგინია იორკსკაია ჟურნალისტურ ხაფანგში მოხვდა: მას ეგონა, რომ მის წინაშეა ლობისტი, ქალი სთავაზობდა კორესპონდენტს, მისგან ეყიდა პრინცთან შეხვედრის უფლება ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგად. გამოაშკარავების შემდეგ ჰერცოგინია მიუთითებდა ფინანსურ პრობლემებსა და „სტრესზე".



## წარმატების საიდუმლო

# მაგიური ციფრი

**რამდენიმე წლის წინათ ფსიქოლოგმა ა. ერიქსონმა ორ კოლეგასთან ერთად ექსპერიმენტების მთელი სერია ჩაატარა ბერლინის მუსიკალურ აკადემიაში. მათ მევიოლინე სტუდენტები სამ ჯგუფად დაჰყვეს. პირველ ჯგუფში შეიყვანეს ის სტუდენტები, რომლებსაც პროფესორ-მასწავლებლები პოტენციურად მსოფლიო დონის მუსიკოსებად მიიჩნევდნენ. მეორეში – პერსპექტიული მომავლის მქონე ახალგაზრდები და მესამეში – შედარებით დაბალი დონის, ანუ საშუალოზე დაბალი: ფსიქოლოგებმა ყველას დაუსვეს ერთიდაიგივე კითხვა, სახელდობრ, რამდენ საათს მეცადინეობთ იმ დღიდან, როცა პირველად აიღეთ ხელში საკრავი დღემდე? აღმოჩნდა რომ გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა, თითქმის ყველამ, მეცადინეობა დაიწყო ხუთი წლის ასაკიდან. პირველი 2-3 წელი თითოეული მათგანი მეცადინეობას უთმობდა კვირაში საშუალოდ 3 საათს, 8 წლის ასაკიდან უკვე იწყება განსხვავება, რომელიც 20 წლისათვის უკვე აშკარა ხდება, საუკეთესო 12 წლის ასაკში 8 საათს, 14 წლის ასაკში – 16 საათს, ხოლო 20 წლის ასაკში, გამორჩეულნი უკვე კვირაში არანაკლებ 30 საათს მეცადინეობდნენ, ანუ უნიჭიერესებს 20 წლის ასაკში დაუგროვდათ 10 000 საათი, პერსპექტიულებს 8000 საათი, ხოლო აუტსაიდერებს – 4000 საათი.**

მეცნიერებმა მსგავსი გამოკითხვა ჩაატარეს პიანისტებთან, შედარება მოახდინეს პროფესიონალურ პიანისტებსა და მოყვარულებს შორის. აქაც იგივე კანონზომიერებას ჰქონდა ადგილი. პროფესიონალები ყოველწლიურად უფრო და უფრო დიდ დროს ანდომებდნენ ვარჯიშს, ვიდრე მოყვარულები და 20 წლის ასაკში მათაც 10 000 სამუშაო საათი დაუგროვდათ. ასეთი გამოკვლევები შემდეგ რამდენჯერმე ჩატარდა და ყველგან იგივე განმეორდა. ერიქსონმა ვერ მონახა ვერც ერთი, რომელიც სხვებთან შედარებით ნაკლებ დროს უთმობდა მეცადინეობას და თანაც თანატოლებზე მაღალი მიღწევები ჰქონდა, ანუ რჩეულნი უფრო დიდხანს კი არ მეცადინეობდნენ, არამედ სხვებისგან განსხვავებით შეუდარებლად მეტ დროს მუშაობდნენ.

აზრი იმის შესახებ, რომ ოსტატობის მაღალი დონის მიღწევა შემოქმედების რთულ დარგებში მხოლოდ დიდი მეცადინეობითა და ვარჯიშით მიიღწევა, უკვე რამდენჯერმე იქნა სხვადასხვა მეცნიერის მიერ აღნიშნული და გამოთქმული. დადგინდა აგრეთვე ეს ჯადოსნური რიცხვიც – 10 000 საათი.

ამ თემასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ ნევროლოგ დანიელ ლევიტინს – „მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან იხატება შემდეგი სურათი: ადამიანის საქმიანობის რომელ დარგსაც არ უნდა შევეხოთ ოსტატობის უმაღლესი საფეხურის, მაგალითად მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერტის დონის მისაღწევად, საჭიროა 10 000 საათი პრაქტიკა. ეხება ეს მუსიკოსს, კალათბურთელს, მწერალს, მოჭადრაკეს თუ კრიმინალს. ეს რიცხვი არაჩვეულებრივი კანონზომიერებით მეორდება, ანუ 3 საათი დღეში, 20 საათი კვირაში 10 წლის განმავლობაში. თუმცა ეს აღმოჩენა მეორე მხრივ ვერ ხსნის, თუ ზოგი რატომ აღწევს წარმატებას, ვიდრე დანარჩენები, მაგრამ ჯერ არავის დაუფიქსირებია შემთხვევა, როცა უდიდესი ოსტატობისთვის მიეღწიოს ვისმეს დროის ნაკლებ მონაკვეთში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს ტვინს დაახლოებით ამდენი დრო სჭირდება, რათა ღრმად აითვისოს მისთვის საჭირო ინფორმაცია“ (აქ და შემდეგ ტექსტი ამოღებულია ცნობილი ამერიკელი ავტორის მალკოლმ გლადუელის წიგნიდან „ვუნდერკინდები და აუტსაიდერები“, რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერი გახდა), მაგალითად, თვალი შევავლოთ მუსიკის გენიის – მოცარტის ბიოგრაფიას.

აი, რას წერს მის შესახებ ფსიქოლოგი მაიკლ ჰოუვი – მოცარტის ადრინდელი ნაწარმოებები არაფრით გამოირჩევა თავისი დროის ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. მისი პირველი შვიდი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად იმ დროინდელ ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების თარგზეა აგებული და მათი ნაწარმოებების კარგად გადამუშავებულ მასალას წარმოადგენს. ყველაზე ადრეული და ჭეშმარიტად უკვე მოცარტისეულია მისი მეცხრე კონცერტი, რომელიც 21 წლის ასაკში შექმნა. ამ დროისთვის მას უკვე ჰქონდა მუსიკასთან „შერკინების“ 10 წლის სტაჟი. მუსიკის კრიტიკოსი ჰაროლდ შონბერგი აღნიშნავს, რომ მოცარტი, როგორც კომპოზიტორი, საკმაოდ გვიან განვითარდა და თავისი გენიალური ნაწარმოებები 20 წლის ტიტანური შრომის შედეგად შექმნა.

ასევეა ჭადრაკშიც, გროსმაისტერის დონის მისაღწევად საჭირო უწყვეტი მეცადინეობის დაახლოებით 10 წელი (მაგალითად ლეგენდარულ ბობი ფიშერს 9 წელი დასჭირდა). 10 000 საათი საკმაოდ ბევრია ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, რათა ამდენი დრო დახარჯო საკუთარი უნარისა და ნიჭის სრულყოფაზე, თანაც ახალგაზრდობის წლებში, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მშობლების თანადგომა და მხარდაჭერა როგორც მატერიალური, ასევე მორალური. არ უნდა იყო დაკავებული ყოველდღიური წვრილმანებით და ა. შ. თუ შენი ყოველდღიური საფიქრალია საჭმელ-სასმელის შოვნა, მძიმე ოჯახური ატმოსფერო, მაშინ სწავლისათვის არც დრო და არც სურვილი აღარ გრჩება. ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ვლინდება ეს კანონზომიერება თანამედროვე ეპოქაში, მაგალითისათვის თვალი გადავავლოთ ლეგენდარულ „ბითლზ“-ების და პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის ბილ გეითსის ბიოგრაფიას.

ცნობილია, რომ ჯონ ლენონმა და მაკკარტნიმ დაკვრა დაიწყეს 1957 წელს. ისინი სრულიად უცნობი ახალგაზრდები, 1960 წელს მიიწვიეს ჰამბურგის ღამის კლუბში (გერმანიაში). აი, როგორ იხსენებს თვითონ ჯონ ლენონი ამ პერიოდს – „ჩვენ აქ (ჰამბურგში) ყოველდღიურად ვიზრდებოდით და თანდათან გვემატებოდა საკუთარი ძალების რწმენა, სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ვუკრავდით, თანაც უცხოელებისათვის. ეს ჩვენ ძალიან გამოგვადგა. მათთვის როგორმე გასაგები რომ ვყოფილიყავით, საჭირო იყო მუსიკის შესრულებაში მთელი ჩვენი გული და სული ჩაგვედო. ლივერპულში მხოლოდ ჰიტებს ვუკრავდით, თანაც სცენაზე ერთ საათზე მეტი არ ვიმყოფებოდით. ჰამბურგში ჩვენ 8 საათის განმავლობაში შეუსვენებლივ უნდა დაგვეკრა. ამიტომ იძულებული ვიყავით მთელი მონდომებით გვემუშავა“. 1960 წლიდან 1962 წლამდე ბითლზები ჰამბურგში სამჯერ ჩავიდნენ და დაახლოებით 270 საღამო გამართეს. პირველი და დიდი წარმატების დროისათვის მათ გამართული ჰქონდათ 1200 ცოცხალი კონცერტი. ეს გაუგონარი ციფრია. აი, სად და როგორ შეიქმნა მათი წარმატების საფუძველი. ჰამბურგის მკაცრმა სკოლამ ასწავლა მოთმინება, დისციპლინა, მძიმე დატვირთვების ატანა და გაძლება. აქ მათ შეისწავლეს სიმღერების უდიდესი რაოდენობა და მხოლოდ ასეთი მდიდარი გამოცდილების შემდეგ მიაგნეს თავის განუმეორებელ სტილს, რომელიც არავის არ ჰგავდა.



ახლა გადავხედოთ ბილ გეითსის ბიოგრაფიას. იგი საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მამა – უმდიდრესი ადვოკატი, დედა – ცნობილი ბანკირის შვილი. მშობლებმა ის პირველად ჩვეულებრივ სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ცნობისმოყვარე გეითსი სწავლას გულს ვერ უდებდა, ამიტომ მშობლებმა მეშვიდე კლასში კერძო ელიტურ სკოლაში გადაიყვანეს. მერვე კლასში, სრულიად შემთხვევით სკოლაში გაიხსნა კომპიუტერული კლუბი. იმ დროისათვის კომპიუტერი საკვირველება იყო არა თუ სკოლებში, არამედ თვით უმაღლეს სასწავლებლებში. აი, როგორ იგონებს სკოლის წლებს ბილ გეითსი. – „მე შევიშალე კომპიუტერებზე. ვაცდენდი გაკვეთილებს. კომპიუტერის ოთახში შუაღამემდე ვრჩებოდი. ყოველ კვირაში 23-24 საათი იქ ვიყავით მე და ალენი. იყო დრო, როცა ჩვენ აგვიკრძალეს მუშაობა, რადგან პოლ ალენთან ერთად პაროლი გავტეხეთ და მოვშალეთ სისტემა. მთელი ზაფხული კომპიუტერის გარეშე დავრჩით. მაშინ მე 15-16 წლისა ვიყავი. მერე პოლმა გამონახა უფასო კომპიუტერი ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ისინი 24 საათი მუშაობდნენ, მაგრამ ღამის 3 საათიდან დილის 6 საათამდე კომპიუტერი თავისუფალი იყო. მე ღამით ვიპარებოდი სახლიდან და ფეხით ან ღამის რეისის ავტობუსით მივდიოდი უნივერსიტეტში. აი, ამიტომ ვარ ასეთი გულუხვი ვაშინგტონის უნივერსიტეტის მიმართო, წერს ბილ გეითსი. რამდენიმე წლის შემდეგ დედამისმა გაიხსენა, „ჩვენ მაშინ ვერაფრით გაგვეგო, რატომ უჭირდა ბილს დილით ადრე ადგომაო“.

ეს ხუთი წელიწადი მე-8 კლასიდან სკოლის დამთავრებამდე, ბილისთვის ნამდვილი მეორე „ჰამბურგი“ აღმოჩნდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ყოველმხრივ საუკეთესო პირობები ჰქონდა თავისი ნიჭისა და ოცნებების ფრთების შესასხმელად. როგორც მოგახსენეთ ეს და ბევრი სხვა საინტერესო ამბავი აქვს მოყვანილი მალკოლმ გლადუელს თავის შესანიშნავ წიგნში (სხვათა შორის 2009 წელს ბილ გეითსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას დაუკავშირებს თავის ცხოვრებას).

ჩვენის მხრივ მოგახსენებთ, რომ სახელოვანმა დავით სარაჯიშვილმა, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1866 წელს სწავლა გააგრძელა პეტერბურგის, შემდეგ მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ჰოჰენჰაიმის და ჰალეს უნივერსიტეტებში. ამითაც არ დაკმაყოფილდა და პიროვნება, რომელსაც გერმანიაში მინიჭებული ჰქონდა ფილოსოფიისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მევენახეობის უფრო ღრმა შესასწავლად გაემგზავრა საფრანგეთში. 1888 წელს თბილისში გახსნა კონიაკის ქარხანა, პირველად არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში (ე. ი. მან თითქმის 20 წელზე მეტი მოანდომა ცოდნის შეძენას). მისი ფირმის პროდუქცია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში, მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე მოპოვებული ჰქონდათ ოქროს მედლები. ის თავის დროის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. თუმცა მთელი ქონება მთლიანად სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა. 1910 წელს შედგენილი მისი ანდერძი ადამიანური დიდსულოვნების გამოვლენის ჭეშმარიტი ნიმუში გახლდათ.

აქვე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმა „BACCARAT“-ში მთავარ მინის სადნობ ღუმელთან 45 წელზე ახალგაზრდას არ უშვებდნენ. ამ მსოფლიოში ცნობილ ფირმაში 10 წელი სწავლა სჭირდება მოწაფეს, რომ მოსამზადებელ ჯგუფებში მიიღონ, სადაც ყველა შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად აუცილებელია საჩვენებელი ნიმუშის გაკეთება და საწარმოს ოსტატთა საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ ხდება უფრო მაღალი დონის საფეხურზე გადაყვანა. თუმცა რაღა შორს წავიდეთ, ასე იყო ოდითგანვე საქართველოშიც.

თბილისის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა კორპორაციებს, რომელიც გაერთიანებულნი იყვნენ ამქართა საზოგადოებაში. აქ საკმარისად მკაცრი იერარქია არსებობდა. თვით შეგირდად აყვანამდე, მოსწავლეს ერთიდან ექვს თვემდე გამოსაცდელი ვადა ენიშნებოდა. შეგირდობა სხვადასხვა დროს 3-დან 6 წლამდე გრძელდებოდა. შემდგომი საფეხურის – ქარგლობის დაუფლებას 3 წელი სჭირდებოდა. სწავლის სამუშაო დრო დღე-ღამის 2/3-ს, ანუ სულ მცირე 10.4 საათს, ანუ საშუალოდ 12.4 საათს აღწევდა. თითოეულ ამქრულ საზოგადებას (1912 წლისთვის მხოლოდ თბილისში სხვადასხვა დარგის 35-მდე ამქრული საზოგადოება არსებობდა) რამდენიმე ექსპერტი ჰყავდა, რომლებიც ამქრის უსტაბაშთან ერთად, ოსტატობის კანდიდატის – ქარგლის მიერ წარდგენილი ნაწარმის შესახებ დასკვნას იძლეოდნენ. მხოლოდ დადებითი შეფასების მიღებისას ენიჭებოდა ქარგალს ოსტატის წოდება და ეძლეოდა სიმწიფის მოწმობა (რომელიც ნებისმიერი ხელოსნის, პროფესიული სიამაყის საგანს წარმოადგენდა). ოსტატი უმწიკვლო საქციელისა უნდა ყოფილიყო და საერთოდ მეგობრისთვის თავდადება, სიტყვის გაუტეხლობა, სამართლიანობა, ღრმად იყო ჩადებული თბილისელ ხელოსნებში. ისინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ გარდაცვლილი ამხანაგის ქვრივისა და შვილების მიმართ. ვისაც ეს საფეხურები გავლილი არ ჰქონდა და ყოველდღიურ საშოვარზე გასულნი ჰაიჰარად, ალალბედზე საქმიანობდნენ, მათ მეჯღანეებს და ფინაჯებს ეძახდნენ, ხოლო მათ მიერ გაკეთებულ ნებისმიერ ნივთსა და საქმეს – ფინაჯურს!

**მედეა თავდიშვილი.**

## კლასიკური მუსიკა

# სულიერების ზეიმი დედოფლისწყაროში

**ამ რამდენიმე დღის წინათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლაში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარჩინებულმა სტუდენტებმა გიორგი ყაჭაშვილმა (ფორტეპიანო, III კურსი), ივანე ქობულაშვილმა (ვიოლინო, IV კურსი) და თამარ ფრანგულაშვილმა (ფლეიტა, IV კურსი) აკადემიური კონცერტი გამართეს.**

მეტად მრავალფეროვანი იყო ამ კონცერტის პროგრამა. იგი მოიცავდა ბახის, რახმანინოვის, სიბელიუსის, გლუკის, იზაის, მასნეს, დებიუსის, პაგანინის, ვაგნერის, თაქთაქიშვილის და შოპენის ურთულეს ნაწარმოებებს.

ივანე ქობულაშვილმა შეასრულა სავიოლინო მუსიკის ერთ-ერთი შედევრი პაგანინის – პაიზიელო (ამ ნაწარმოებით წარსდგა იგი იტალიაში ვატიკანის ღვთისმშობლის ეკლესიაში და უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამ ეკლესიაში დაკვრა მხოლოდ უნიჭიერეს მუსიკოსთა ხვედრია).

ახალგაზრდა პიანისტმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ გიორგი ყაჭაშვილმა როიალზე შესანატრი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით შეასრულა ყველა ნაწარმოები, მათ შორის შოპენის მე-12 ეტიუდი, რომელიც მსმენელთა დაჟინებული თხოვნით გაიმეორა. მსმენელი მოხიბლული დარჩა გიორგის ულამაზესი ბგერით, რომელიც გამოირჩევა სინაზით, სიფაქიზით, სისუფთავითა და გამომხატველობით.

თამარ ფრანგულაშვილმა კონცერტმაისტერ გიორგი ყაჭაშვილთან ერთად ფლეიტაზე ბახის და თაქთაქიშვილის არია შეასრულა. თამარმა სულ 5 ნაწარმოები დაუკრა ამ კონცერტზე და უდიდესი სიამოვნება მიანიჭა დედოფლისწყაროელ კლასიკური მუსიკის მოყვარულებს.

კონცერტის ორგანიზატორი და სპონსორი გახლდათ სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე და ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე, შპს „საავადმყოფო-პოლიკლინიკური“ გაერთიანების დირექტორი ვანო ნატროშვილი.

კონცერტს ესწრებოდნენ სამუსიკო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მწიგნობართა ასოციაციის წევრები, კულტურისა და განათლების სისტემის წარმომადგენლები...

**მარიკა პოპიაშვილი**

ჩოგბურთი

# კვარცხლბეკზე — ახალგაზრდები




**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 16-16 საუკეთესო ქალ-ვაჟი ასპარეზობდა.**

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**14-წლიანები. გოგონები.** 1. ლიზი ნადიბაიძე, 2. ირინე ყარანგოზიშვილი, 3. მარიამ მითაიშვილი. **ვაჟები.** 1. ალექსანდრე ბაკში, 2. შოთა მეფარიძე, 3. დემეტრე მაღრაძე.

**16-წლიანები. გოგონები.** 1. ბარბარე ერისთავი, 2. ანი გოგუაძე, 3. თამარ ჭალაგანიძე. **ვაჟები.** 1. მიხეილ ხმიადაშვილი, 2. გიორგი ჯავახიშვილი, 3. ლუკა ფილფანი.

ახალგაზრდა ჩოგბურთელები 14 ივნისს ავსტრიის ავიახაზების საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან, ერთი კვირის შემდეგ „რენეს და დათოს თასზე" მოსინჯავენ ძალებს, 19-25 ივნისს კი თანატოლთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

**სურათზე: ალექსანდრე ბაკში.**

ჭადრაკი

# პოიკოვსკში – მეთერთმეტედ



**მსოფლიოს მე-12 ჩემპიონის, დიდოსტატ ანატოლი კარპოვის სახელობის ტურნირი მეთერთმეტედ**

**გაიმართება პოიკოვსკში (ხანტი-მანსიისკის ოლქი). შეჯიბრება ფიდეს მე-19 კატეგორიისაა (საშუალო რეიტინგი 2703). საპრიზო ადგილებისთვის 7 ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით იბრძოლებს.** მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა (2715). მას მეტოქეობას გაუწევენ: სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2739), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2725), ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი, 2707), ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი, 2704), სერგეი რუბლოვსკი (რუსეთი, 2704), ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ, 2699), არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2686), ალექსანდრ რიაზანცევი (რუსეთი, 2674), ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა, 2668), ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2661), ივან სოკოლოვი (ბოსნია-ჰერცოგოვინა, 2654). ასპარეზობა დღეს დაიწყება.

კინოლოგია

# წინ საერთაშორისო ასპარეზია

**საქართველოში გამართულ კინოლოგიურ ტურნირებზე ყოველთვის უკმარისობის გრძნობა მეუფლება. ვფიქრობ, სპორტის ეს საინტერესო სახეობა, რომელიც ერთნაირად იზიდავს ყველა ასაკის ადამიანს, სათანადოდ არაა დაფასებული. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ის, რომ შეჯიბრებებს, უმთავრესად, ძაღლის პატრონების ოჯახის წევრები ესწრებიან.**

**მიზეზი კი ის არის, რომ მაყურებლებს ელემენტარული კომფორტიც კი არ ხვდებათ.**

ასე იყო შაბათსაც, როდესაც საქართველოს სპორტულმა კინოლოგიურმა კავშირმა (თავმჯდომარე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მიხეილ მოდებაძე) საგაზაფხულო ტურნირი მოაწყო.

შეჯიბრება საინტერესოდ წარიმართა. გაწვრთნილი ძაღლების პაექრობა ვადიკ გევორქიანის მომზადებულმა 6 წლის გერმანულმა ნაგაზმა მოიგო. მეორე და მესამე ადგილებზე თემურ



ბროიანის იაგტერიერი და ჯაბა ცხვედაძის ამერიკული პიტბულტერიერი გავიდნენ.

სასიამოვნოა, რომ წლეულს ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო კინოლოგიის ოფიციალური პარტნიორები გახდნენ. ამის გამო საქართველოს კინოლოგები ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზე მიიწვიეს.

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**




მინიფეხბურთი

# არდავიწყება მოყვასისა



თბილისის 57-ე საჯარო სკოლის დირექტორის იოსებ ხუციშვილისა და ამავე სკოლის სპორტისა და ესთეტიკის სწავლების ხელმძღვანელის ვახტანგ ბაქანაძის ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება ეწყობა მოსწავლეებისთვის. ამჯერადაც მათი თაოსნობით სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოს", მოსკოვის „ტორპედოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელის სლავა მეტრეველის მემორიალი გაიმართა. ეს შეჯიბრება მის 74 წლისთავს მიეძღვნა (სლავა მეტრეველი 1936 წლის 30 მაისს დაიბადა).



საასპარეზოდ მოსწავლეთა რვა გუნდმა მოიყარა თავი. წრიული შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალში კერძო სკოლა „მოძღვრის" ფეხბურთელებმა ფრანგული კოლეჯის წარმომადგენლებს 7:4 აჯობეს, ხოლო 57-ე სკოლის გუნდმა ორმოცდამეთხუთმეტესკოლელებს მოუგო 6:5. გადამწყვეტ პაექრობაშიც ვახტანგ ბაქანიძის შეგირდებმა იმარჯვეს 12:5 და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს.

ვერაზე, ასევე, საფეხბურთო მემორიალით აღინიშნა დავით ყიფიანის აღმზრდელის ფარვიზ (ბორის) ჭელიძის ხსოვნა. ისიც მაისში იყო დაბადებული. ტურნირში (მსაჯი ოთარ ნათაძე) პირველი ადგილი 183-ე სკოლის გუნდმა დაიკავა.

დასკვნით შეხვედრაში სწორედ გამარჯვებული გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ვაკელებმა ვერელებს 6:4 სძლიეს. გარდამავალი თასით ისინი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა დააჯილდოვა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: თამაშის მომენტი; გამარჯვებული გუნდი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ფულითაც წაახალისეს



**როგორც ათენიდან იტყობინებიან, ფიდეს შტაბ-ბინამ გამოაქვეყნა „გრან-პრის" საბოლოო ოქმი. აი, როგორ გამოიყურება საუკეთესოთა ათეული ფულადი წახალისებით: 1. ლევონ არონიანი** (სომხეთი – 500 ქულა, პრიზი – 75 ათასი დოლარი, **2. თეიმურაზ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი – 419,33 ქულა – 50 ათასი დოლარი, **3. ალექსანდრე გრიშჩუკი** (რუსეთი – 363,33 ქულა – 40 000 დოლარი, **4. დიმიტრი იკოვენკო** (რუსეთი – 359,33 – 30 000 დოლარი, **5. ვან იუე** (ჩინეთი – 353,33 – 25 000 დოლარი, **6. ვუგარ გაშიმოვი** (აზერბაიჯანი – 333,33 – 20 000 დოლარი, **7. პეტერ ლეკო** (უნგრეთი – 320 – 18 000 დოლარი, **8. შახრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი – 301 – 16 000 დოლარი, **9. ევგენი ალექსეევი** (რუსეთი – 301 – 14 000 დოლარი, **10. პაველ ელიანოვი** (უკრაინა – 285 – 12 000 დოლარი.

ამავე დროს გაირკვა მსოფლიო ჩემპიონთან ვიში ანანდთან მატჩის პრეტენდენტები – ვესელინ ტოპალოვი, მაგნუს კარლსენი, ვლადიმირ კრამნიკი, ბორის გელფანდი, გატა კამსკი, ლევონ არონიანი, თემურ რაჯაბოვი. მერვე მონაწილის საგზურს კი ამ მატჩის ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი მოიპოვებს.

## სპარსეთის ყურის ჩემპიონი

**დიახ, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების პირველი ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში გახდა არაბთა**



**გაერთიანებული საამიროების ნაკრები. მან ფინალში დაამარცხა ტურნირის მასპინძელი – კუვეიტის გუნდი – 6:1.**

ჩემპიონატის დასაწყისიდანვე მიაჩნდათ, რომ ჩემპიონს გამოავლენდა კუვეიტისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების დაპირისპირება, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ საუდის არაბეთისა და ომანის ნაკრებები მათ ჩამორჩებოდნენ.

კუვეიტში მაისის ბოლოს აუტანელი სიცხეა. აქ ტემპერატურა დღისით 44 გრადუსამდე ადის. ჰოკეის მოედანზეც ძალზე ცხელოდა, მაგრამ ამინდის გამო კი არა, ვნებათა გაცხარების მიზეზით, ამ 30 წლის წინათ აშენებულ პირველ საციგურაოზე ნამდვილი ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს ხოლმე.

## პარტნიორი დაფლითა

**კალიფორნიის (აშშ) სასამართლო განიხილავს საშინელი მკვლელობის საქმეს შედარებით ახალბედა მოჭიდავე ჯეროდ უაიტმა ფსიქოტროპული სოკოს ჭამის შემდეგ თავისი სპარინგ-პარტნიორი ეშმაკად მიიჩნია და სასტიკად გაუსწორდა მას.** ეს მოხდა მარტში კლამატეში. 26 წლის სპორტსმენი, ჯერ ერთი ბრძოლა რომ ჰქონდა გამართული პროფესიულ რინგზე, პოლიციამ მიაგნო დანაშაულის ადგილზე, მოკლულის ცხედრის გვერდით. თავად უიატი შიშველი და სისხლით მოსვრილი იყო. მისი აღიარებით, ეშმაკად მიჩნეულ სპარინგ-პარტნიორ ტეილორ პაუელს ჯერ მკერდში დანა ჩასცა, გაჭრა, გული ამოაცალა და დაწვა, შემდეგ კი მრავალგზის დაჭრა და ენაც ამოაძრო.



## სპორტული ჟურნალისტი ამჯობინა

**გასაკვირი არაა, რომ ლამაზმან ქალებს ტრადიციულად ძლიერი, მიზანმიმართული მამაკაცები მოსწონთ – ძირითადად სპორტსმენები – მაგალითად, იტალიაში – ფეხბურთელები ან მოტომრბოლები. აი, არგენტინაში კი იმ ფეხბურთელებს, დიეგო მარადონამ სამხრეთ აფრიკაში მიმავალ ნაკრებში რომ გამოიძახა, „პლეიბოის" ვარსკვლავმა ანდრეა ესტევესმა ჟურნალისტი ამჯობინა.**



დიახ, ჟურნალისტი, მაგრამ სპორტული. – ტელეკომპანიის Tyc Sports კორესპონდენტი გასტონ რეკონდო. როგორც თავად ქალიშვილი ამბობს, მათ ერთმანეთი ფეხბურთთან დამოკიდებულების შესახებ ინტერვიუს დროს გაიცნეს. როგორც ჩანს, მათ შემდეგ გრძნობაც დაეუფლათ და ზოგჯერ დროსაც ერთად ატარებენ. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება მათი რომანი.

ყურადსაღებად!

# აქტიური პროცესები ივნისში

**მინიმუმების დღეებში გრაფიკით: 1, 8, 9, 16, 22, 24, 29 შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**დაძაბული დღეები: 3 (17-20), 5 (02-04), 6 (05-10), 11 (04-06), 12 (15-17), 15 (09-12), 17 (17-20), 19 (08-15), 26 (10-(6).**

**ივნისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3-6, 11-19, 23, 26, 28 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის, სოციუმში დაძაბულობის გადიდება და სეისმოაქტიურობის გაძლიერება.**

**3 – მთვარის აპოგეა, მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სავარაუდოა ფსიქოპათიური რეაქციები, განწყობილების ცვალებადობა, გრძნობათა მოჭარბება, გაღიზიანება, არაბალანსირება. შესაძლებელია ნერვული სისტემის, სისხლის ინფექციური და გადამდები ავადმყოფობები, მოწამვლა. არ არის გამორიცხული ტკივილები სისხლძარღვებში და ფეხის კუნთებში, შესიება, კრუნჩხვები. რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ ფეხები, დღის განმავლობაში რამდენიმე ხნის განმავლობაში ისინი გვეკავოს ვერტიკალურ მდგომარეობაში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების მიზნით, ანდა ვარიკოზული გაფართოების შემცირებისთვის. კარგია ტერფის მასაჟი ფეხის თითების სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების მიზნით. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამვლას, არამოტივირებულ აგრესიას, მოქმედებათა მოუფიქრებლობას, ნუ იქნებით ძალიან მიმნდობი და მიამიტი. ალკოჰოლი საშიშია.

**5 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, გაუწონასწორებლობა, ზედმეტი მგრძნობელობა, ეჭვიანობა. შესაძლებელია დარღვევები ლიმფატური სისტემის, ღვიძლის მუშაობაში, გაცივება და ინფექციური დაავადებანი, ტკივილები ტერფებში, ჯანმრთელობის გაუარესება. რეკომენდებულია ვერიდოთ ნეგატიურ ემოციებს, შეუსრულებელ დაპირებებს და ვალდებულებებს, ნუ გადატვირთავთ თვალებსა და ფეხებს,



გაიკეთეთ წყლის პროცედურები და მასაჟი ტერფზე. სასურველია უარი თქვათ ალკოჰოლზე და ყავაზე. კარგია დაასრულოთ წამოწყებული საქმეები, ხელი მოჰკიდოთ შემოქმედებას.

**6 – მთვარის იუპიტერთან და ურანთან შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები.** შეიძლება გაჩნდეს განახლების სურვილი, თავისუფლების სურვილი ნებისმიერ ფასად, ენთუზიაზმი, თავდაჯერებულობა, იმპულსირება, აგრესიულობა, ექსტრავაგანტიზმი. შესაძლებელია ღვიძლისა და სისხლის დაავადებათა გამწვავება, ალერგია, თავის ტკივილები და ცუდი ძილი ზედმეტი გაღიზიანების გამო. რეკომენდებულია მოვერიდოთ გადაღლას, აჩქარებულობას, ძლიერ ემოციებს – ისინი იწვევენ ტვინის ფუნქციების დარღვევას. უმჯობესია უარი ვთქვათ მოწევაზე, ყავაზე, ალკოჰოლსა და შოკოლადზე. ზედმეტი ენერგიის სიჭარბისგან თავის დასაღწევად შეიძლება შევასრულოთ ფიზიკური ვარჯიშები, გარბენები, ისუნთქეთ ღრმად. ხელსაყრელია და სასარგებლო გამაჯანსაღებელი ღონისძიება, სეირნობა სუფთა ჰაერზე.

**11 – მთვარე-მერკურის შეერთება, დაძაბული ასპექტები.** შესაძლებელია გონებამახვილობა, ადამიანთან ურთიერთობის გაძლიერება, აქტიურობა. უარეს შემთხვევაში – გაღიზიანება, ლაყბობის სურვილი, ემოციურობა. არ არის გამორიცხული სასუნთქი ორგანოების დაავადებათა გამწვავება: ფილტვებისა და ბრონქების, აგრეთვე რევმატიული ტკივილები ხელებსა და მხრებთან. დაიცავით ხელები დაწვისა და დაჭრისგან. გადაღლამ და მღელვარებამ შეიძლება გამოიწვიოს კუჭაშლილობა. სასარგებლოა გამწმენდი პროცედურები, ტანვარჯიში, სუფთა ჰაერზე ყოფნა. იყავით ფრთხილად ტრანსპორტის მგზავრობის დროს.

**12 – სრული მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიში, სეირნობა. რეკომენდებულია სიმძიმეების აწევა, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციებისგან თავის არიდება.

**15 – მთვარე-ვენერას შეერთება, მთვარის პერიგეა.** შესაძლებელია გაღიზიანება, საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის გადიდება, სურვილი – ვიყოთ ყურადღების ცენტრში, მივიღოთ საჩუქრები. მოსალოდნელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ფარისებრი ჯირკვლების, ყელის, ბრონქების, ყურის, გულის დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ზურგსა და მკერდში. სასარგებლოა წყლის პროცედურები და მცირე შეზღუდვები ჭამაში. კარგია მივუძღვნათ დრო ბავშვებთან ურთიერთობას, შემოქმედებას, ხელოვნების საგნებს.

**17 – მთვარე-მარსის შეერთება, დაძაბული ასპექტები.** შესაძლებელია გაღიზიანება, ეჭვიანობა, აქტიურობა, სურვილი – ვიძლეოდეთ ბრძანებებს და ვხელმძღვანელობდეთ ადამიანებს, ვლებულობდეთ შექებას. მგრძნობელია გული, სისხლის მიმოქცევის სისტემა და თავი. არ არის გამორიცხული თავის და კბილის ტკივილები, შფოთვარე ძილი, რადიკულიტის შემოტევები, ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, ტრავმატიზმს, ემოციების მკვეთრ გამოვლინებას, ალკოჰოლს. ნუ ასწევთ სიმძიმეებს და ნუ გადატვირთავთ გულს ფიზიკური დატვირთვით. ეცადეთ თავიდან აიცილოთ ეგოიზმი, ქედმაღლობა და სნობიზმი. სასარგებლოა ზომიერი ვარჯიშები, სეირნობა, ჰაერის აბაზანები, სრულფასოვანი ძილი.

**19 – მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარე-სატურნის შეერთება, დაძაბული ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, კრიტიკულობა, დეპრესია, იმის სურვილი, რომ ვიკისროთ პასუხისმგებლობა, მოსალოდნელია პრობლემები ოჯახის უფროს წევრებთან. მოსალოდნელია აგრეთვე საყრდენ-მოძრაობის აპარატის ქრონიკულ დაავადებათა, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის გამწვავება, ცუდი ძილი.

**26 – სრული მთვარე, მთვარის დაბნელება, მთვარე-პლუტონის შეერთება, დაძაბული ასპექტები.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ვალდებულების ამაღლება, დეპრესია, ზრდასრულ ადამიანთან ურთიერთობის მოთხოვნილება, უსიამოვნებათა მტკივნეული აღქმა. მოსალოდნელია სასქესო ორგანოების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ძვლებსა და სისხლძარღვებში, იზრდება მოტეხილობის საფრთხე. არ არის გამორიცხული კანისა და კბილების პრობლემები.

ხსოვნა

## ვახტანგ ქოქიაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მონუმენტური ხელოვნების სექციის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდის მთავარი მხატვარი ვახტანგ ქოქიაშვილი.

ცნობილი ხელოვანი, რომელმაც საქართველოში და უცხოეთში შექმნა უნიკალური მოზაიკური პანოები, ვიტრაჟული კედლები, ფერწერული პანოები, კოლაჟები, მუშაობდა დაზგურ გრაფიკაში. მონაწილეობდა მინანქრისა და მონუმენტური ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში – ბულგარეთში, პრაღაში, იტალიაში, ლონდონში, მუშაობდა პარიზის სახელოსნოებში. მან პირველმა გააკეთა მონუმენტური ვიტრაჟი ფუნიკულიორის სადგურზე. მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, ამერიკის, უნგრეთის კერძო კოლექციებში. მისი შესანიშნავი ნახელავი ამშვენებს საქართველოს ყველა ქალაქსა და კუთხეს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ბატონ ვახტანგს და თანაუგრძნობს ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
**მერაბ ბერძენიშვილი**

## თეიმურაზ ჭყონია

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი, მოქანდაკე, მხატვართა კავშირის და ქანდაკების სექციის ბიუროს წევრი თეიმურაზ ჭყონია.

უნიჭიერესი პიროვნება ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მრავალი სახელმძღვანელოს ავტორია საქანდაკო მასალების შესახებ სტუდენტებისათვის. მან ქართულ საზოგადოებას არაერთი ნიჭიერი თაობა აღუზარდა. შექმნა ცნობილ ადამიანთა პორტრეტების მთელი გალერეა. პირველი ქართველი მფრინავის ქებურიას ძეგლი, რომელიც თბილისის აეროპორტში დგას. მასვე ეკუთვნის კრწანისის ომში დაღუპულთა მემორიალი. მთელი ცხოვრების მანძილზე შრომობდა, იღვწოდა და მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოებულია პრემიებით. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მრავალი გამოფენა ჰქონდა მოსკოვში, დრეზდენში, პეტერბურგში. გამორჩეული იყო თავისი ცხოვრების წესით, შრომისმოყვარეობითა და პიროვნული თვისებებით.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება კეთილშობილ, ღირსეულ მამულიშვილს და თანაუგრძნობს ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
**მერაბ ბერძენიშვილი**

---

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე

თეიმურაზ ჭყონია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 1, 2 VI, 17 სთ. გამოსვენება 3 VI, 14 სთ. მისამართი: მიცკევიჩის ქ. № კორპ. III სად.

---

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მონუმენტალისტი

ვახტანგ ქოქიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 1, 2 VI, 17 სთ. გამოსვენება 3 VI, 15 სთ. მისამართი: მარგიანის ქ. №28.

---

მეუღლე მანანა, შვილი პაატა, რძალი მანანა, შვილიშვილები სალომე, ელისო, სოსო, სანდრო, შვილთაშვილები მაკუნა, ბარბარე, დები ლაურა, მიზურა, დისწულები რევაზ, ქეთი ჭირაქაძეები, თემურ, ზურაბ მენაღარიშვილები, ლალი, ლევან ქუთათელაძეები, რძლები მაია, ნანა, ხათუნა, ნათია, სიძეები თამაზ ჭირაქაძე, გივი ნიორაძე, მიშა გალდავა ოჯახებით იუწყებიან

სოსო ჭანტურიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 VI, 17 სთ. დაკრძალვა 5 VI, 14 სთ. მისამართი: ლვოვის, 75.


## ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე I ლოტად.**

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში, ფარნავაზის მოედნის მიმდებარედ არსებული 73.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.08.745).

საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ 40 (ორმოცი) ლარი.

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**


ინფორმაცია

## შესრულდა პირველი რეისი

**ავიაკომპანია „ეარ ბათუმმა“ პირველი რეისი შეასრულა.**

**თბილისი-ბათუმის პირველი რეისით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა, ქართულ ტუროპერატორების ხელმძღვანელებმა, ჟურნალისტებმა და კორპორატიულმა მგზავრებმა იმგზავრეს.**

როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, თბილისი-ბათუმის რეისზე ბილეთების ფასი 19 ლარიდან იწყება. მგზავრობის ხანგრძლივობა 40 წუთია.

ზაფხულში, უქმე დღეებში კომპანია სპეციალური რეისების დამატებასაც გეგმავს.

რეისები „ბოინგ 737“-ით შესრულდება.

ავიაკომპანია აპირებს მომხმარებელს საერთაშორისო რეისებიც შესთავაზოს. კერძოდ, იგეგმება რეისების განხორციელება ანტალიის, კიევის, ბაქოს, თელ-ავივის მიმართულებებით.

„ეარ ბათუმმა“ ფრენების ლიცენზია მიმდინარე წლის პირველ აპრილს მიიღო.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ დაიჯესტი

### „მარტის თვეა შენი...“

**ყველაფერი 1910 წელს, ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე დაიწყო. კლარა ცეტკინმა 8 მარტს ქალთა სქესის პროლეტარიატის დაბადების დღის დღესასწაულის შემოღების იდეა წამოაყენა.** კლარა ცეტკინის ჩანაფიქრით ეს დღე მსოფლიოს ქალების თანასწორობისთვის ბრძოლის დღე უნდა გამხდარიყო. ოფიციალურად პირველად 8 მარტი 1913 წელს აღნიშნეს, 1965 წლიდან კი 8 მარტი უქმე დღედ გამოაცხადეს. ბოლო



წლებში 8 მარტმა დაკარგა თავისი პოლიტიკური პათოსი და ახლა ის, უბრალოდ, გაზაფხულის, სიყვარულისა და სილამაზის დღესასწაულია.

### ყველაზე არაადეკვატური, „მონათმფლობელური“

**რამდენად საღ ჭკუაზეა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მომავალი დედაქალაქის სოჭის მერი ანატოლი პახომოვი, ამის დადგენა თქვენთვის მოგვინდია, პატივცემულო მკითხველო.**

გავრცელებული ინფორმაციით, „ამხანაგმა მერმა“ ახალი ინიციატივა წამოაყენა – ოლიმპიური ობიექტების მშენებლობებზე იძულებით... ბოშებისა და უსახლკაროთა, ეგრეთ წოდებული „ბომჟების“ სამუშაოებზე გაგზავნა. პახომოვის აზრით, თბილი კლიმატის გამო ქალაქ-კურორტში აუარება უსახლკარო ჩადის, რომელიც ღამეებს მიწისქვეშა გადასასვლელებში, პარკების სკამებსა და პლაჟებზე ათევს.



– ბომჟები და ბოშები უნდა ვაიძულოთ მთელი დღე-ღამის მანძილზე მუშაობა, მაშინ სოჭში ჩამოსვლაზეც ხელს აიღებენ, – განაცხადა „სტუმართმოყვარე“ ქალაქის თავმა.

ვერაფერს იტყვი, თავისებურად იგი მართალიცაა, ვინაიდან სოჭში ჩასვლა დიდი ხანია ბევრს აღარ უნდა იმ მარტივი მიზეზით, რომ მომსახურების ხარისხისა და ფასების შეფარდებით იგი მსოლიოს ერთ-ერთი ყველაზე არაადეკვატური ქალაქია.

### არაპატრიოტი ნაბიჯი

**რუსეთისა და თურქეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად თურქეთმა ანტალიაში რუსეთის ოლიმპიური ცენტრის მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე თანხმობა განაცხადა. ობიექტი რუსეთელი ოლიმპიელების საწვრთნელ ბაზა და, ამავდროულად, სპორტსმენების დასვენებისა და რეაბილიტაციის ადგილი გახდება.**

რუსეთის სპორტულ პრესაში ამასთან დაკავშირებით კრიტიკული მასალები გამოქვეყნდა – მასმედიაში უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ ქვეყანა უზარმაზარ სახსრებს ხარჯავს სოჭში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაში, მათი სპორტსმენები კი სავარჯიშოდ და დასასვენებლად თურქეთში ივლიან.



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +28 |
| ქუთაისი. | +25 – +34 |
| ბათუმი. | +16 – +31 |
| ზუგდიდი. | +17 – +33 |
| თელავი. | +16 – +27 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7881 ლარი |
| 1 ევრო | – 2.1997 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6035 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7907 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6884 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2251 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2562 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1410 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6176 ლარი |



## ◉ ანეკდოტები

რაჭველს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.
– გადავრჩი, ექიმო? – ჰკითხა მან მეორე დღეს ქირურგს.
– გადარჩენით კი გადარჩი, მაგრამ მეორედ უნდა გაგჭრა, ცალი ხელთათმანი დამრჩენია შენს მუცელში...
– მაგის გულისთვის ნუ გამჭრი, ქვე შენი ჭირიმე, როგორც კი მოვმჯობინდები, ორ ხელთათმანს გიყიდი.

* * *

გალეშილი მიხო გარს უვლის ჭას.
– არა, კაცო, თუ სადმე არ გადავძვერი, ამ ღობეს ბოლო არ უჩანს...



* * *

– ჭიჭიკია, შვილო, ნუ ურტყამ მაგ ბავშვს ჩაქუჩს ასე გამეტებით, თორემ გაოფლიანდები და შეიძლება გაცივდე.

* * *

გურულმა ნერწყვი გადაყლაპა და მოიწამლა.

* * *

– ნახე, კაცო, ეს რა წერია გაზეთში, – ეუბნება სვანი ძმაკაცს, – ქვრივი ქალები ქმრებზე დიდხანს ცოცხლობენო!

* * *

სვანი დაიღალა და კედლის ხალიჩაზე წამოწვა.

* * *

სად მიმაქანებ, კაცო, ასე გამწარებული? – ძლივს აგებინებს ჭიჭიკია სანიტარს.
– მორგში.
– მაგრამ მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ?
– ჯერ არც მორგში მივსულვართ.

## ◉ დღის კალენდარი

### 2 ივნისი

**კრება მანგლისი ჯვარისა. ღირსთა: ზაბულონისა და სოსანასი, ნინო მოციქულთა სწორის მშობელთა (IVს; მოწამეთა: თალალესი, ალექსანდრესი და ასტერისა (დაახლ. 284ს; მოწამისა ასკალონისა (დაახლ. 287ს; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ალექსი მოსკოველისა (1431ს.**



**ამოდის 04.31**
**ჩადის 19.26**



**ამოდის 20.16**
**ჩადის 04.25**

### დაიბადნენ:

**1729 – პრინცესა სოფია ფრედერიკა ავგუსტა ანჰალტ-ცერბსტი,** რუსეთის მომავალი იმპერატრიცა ეკატერინე II. გარდაიცვალა 1796 წელს.

**1771 – ნოვალისი,** გერმანელი მწერალ-რომანტიკოსი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1801 წელს.

**1854 – თედო ჟორდანია,** ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1916 წელს.

**1859 – ჯერომ კლაპკა ჯერომი,** ინგლისელი მწერალი, ჟურნალისტი. გარდაიცვალა 1927 წელს.

**1860 – თეოდორ ჰერცლი,** სიონიზმის ფუძემდებელი.

**1900 – თამარ იშხნელი,** საქართველოს სახალხო არტისტი, მომღერალი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**1904 – სალვადორ დალი,** ცნობილი მხატვარი. გარდაიცვალა 1989 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1519 – ლეონარდო და ვინჩი,** აღორძინების ხანის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი და მეცნიერი.

**1900 – ივან აივაზოვსკი,** რუსი ფერმწერი.

### მოვლენები:

**1509 წელი** – ესპანელებმა დააარსეს სან-ხუანი, პუერტო რიკო.

**1968 წელი** – პარიზში სტუდენტთა მღელვარება დაიწყო.

**მედიანიუსი**

რექლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ კადრი



ანზორი და გოლიათი (ცნობილი ეკონომისტი ანზორ ბაბუხადია და ცნობილი კალათბურთელი კახა შენგელია)

დემიკო ლოლაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.